# სახალხო გაზეთი

№ 580 შაბათი, 21 აპრილი, 1912 წ. № 580

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები [illegible] არ ინახება; [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები [illegible]. [illegible] პარაკები შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29.

**გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.**
**,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.**

ყოველ-დღიური სააოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

„სახალხო გაზეთის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ დაუბეჭდავ ხელთ-ნაწერების შესახებ ავტორებთან არავითარ მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდაც საპასუხოდ მარკაც იყოს გამოგზავნილი. დაუბეჭდავი ხელთ-ნაწერები არ ინახება. **რედაქცია.**

კვლავ ვაცხადებთ, რომ „სახალხო გაზეთს“ **ფულის მიღების უფლებით, არავითარი აგენტი არსად არა ჰყავს, გარდა წ.-კ. საზ. მთავარ მაღაზიისა, და ამიტომ პასუხსაც არავის წინაშე არ აგებს.**
„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.
**სურათებიანი დამატება!**
მიიღება ხელის-მოწერა
**წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს „გრდემლს“.**
**აპრილიდან წლის ბოლომდე ღირს 6 მ. 75 კ.**
**ერთი თვით 75 კაპ.**
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან**, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

**ანტონ როსტომის ძე, ელისაბედ გიორგის ასული, ანეტა, ელენე და თამარა ანტონის ასულები მაკალატიები, დავით როსაპის ძე და მარიამ ანტონის ასული მაჭავარიანები და ივანე გიორგის ძე და ნინა ანტონის ასული დავითაშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ორი საყვარელის შვილისას, დანარჩენები ძმისას და მოყვრისას **გორის გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფის**

**ალექსი ანტონისძის მაკალატიასი.**

გასვენება 22 აპრილს ოქონის ეკლესიაში დილის 10 საათზე. ქ. გ ო რ ი. (2—388—2)

**ბარბარე ნიკოლოზის ასული, ნიკოლოზ მიხეილის ძე მეუღლით, დარია მიხეილის ასული შენგელიები შვილებით, ანნა მიხეილის ასული და ივანე გიორგის ძე თუხარელნი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას—პირველი—მეუღლის, მეორენი—მამისი, მამამთილისა და პაპის, მესამენი—მამას და სიმამრის, ძვირფას და დაუვიწყარ

**მიხეილ გრიგოლისძის შენგელიასას**

პანაშვიდები ყოველ-დღე საღამოს 7 საათზე, ბინაზე: ავლაბარი, როზოვაია მოედანი, საკუთ. სახ., № 2. გამოსვენება ბინიდან 22 აპრილს, კვირას, დილის 10 საათზე, წმ. მარინეს ეკლესიაში და დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (1.391.1)

**საარტისტო საზოგადოების დარბაზში**
კვირას, 22 აპრილს დანიშნულია
**კ ო ნ ც ე რ ტ ი**
რუსულ სახალხო სიმღერების ცნობილ ამსრულებელ და მოსკოვ-პეტერბურგის საზოგადოების საყვარელი მომღერალ ქალის **ე. ი. ბაშარინისა.** მოსკოვ. საიმპერ. ოპერის ბას **ი. პ. ტომაშევიჩისა** და მელოდეკლამატორ ფ. ნ. ფლოროვის მონაწილეობით.
**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.**
ბილეთები იყიდება **კარლ შუმანის** სამუსიკო მაღაზიაში, ხოლო კონცერტის დღეს დარბაზის შესავალთან. (3—384—2)

**ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი**
კვირას, 22 აპრილს 1912 წ. სახალხო სახლთან არსებულ წარმ. მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება **,ქ რ ი ს ტ ი ნ ე.** დრ. 4 მ. პ. ირეთელისა. სიუჟეტი აღებულია ე. ნინოშვილის მოთხრობიდან. მონაწილეობენ: ქ-ნნი: ო. ანტუანეტა, შ. ბეჟანოვი, გოდერძი, კახელი, კორინთელი, გარე-კახელი, ფეიქრიშვილი, ა. ქიქოძე, ბ-ნნი ანაშვილი, ბიაშვილი, გელიკურაშვილი, ნ. გოცირიძე, მ. ინაშვილი, ა. მეტრეველი, მეტეხელი, რ. სალაყაია, სვანელი, ვ. ნინიძე, ნარ.., ფრონის-პირ—ი, ხახან—ლი, შანში—ლი, ჭანკ—ძე, მ. ქიაურ—ი, ა. წუწუნავა. დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილ. ფასი 5 კ. 50 კ.-მდე, ბილეთები ისყიდება თეატრ. კასაში დილის 12 საათ. 2-ს და 6 საღ. 8 ს.-მდე. შემდეგი წარმოდგენა 27 აპრილს. წარმოდგენილი იქნება ,,ღალატი'', რეჟისორი ალ. წუწუნავა. ადმინისტრ. ს. ჯულელი მორ. წევრი გამგეობისა ეფ. მესხი. 3.-2-4.2

**ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი**
შაბათს, 21 აპრილს 1912 წ. **4-ე სიმფონიური კრება**
**ს. ი. პრესმანის** ლოტბარობით. მონაწილეობას მიიღებს გამოჩენილი არტისტი მეკრიპკე
**—✦ ი ა რ ო ს ლ ა ვ კ ო ც ი ა ნ ი ✦—**
ასრულებულ იქნება: იტალიური სიმფონია № 3 A mol — მენდელსონისა, კონცერტი სკრიპკისათვის ჩაიკოვსკისა, ჩსონნა—ბახისა და სტენკა რაზინი გლაზუნოვისა. დასაწყისი საღამოს 8½ ს. ადგილების ფასი: პარტერში 2 მ. 20 კ.-დან 60 კ.-მდე; გალერეიაში 60 კ.-დან 25 კაპეიკამდე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.
**ანონსი:** ოთხშაბათს, 18 აპრილს **ჩვეულებრივად** იქმნება **სინემატოგრაფი.** (3—1192—3)

ტელეფ. № 862. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 862.
კვირას, 22 აპრილს, 1912 წ.
მსახიობი **გ. არადელი-იშხნელი** გამართავს წარმოდგენას **ტ. აბაშიძის** და **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით ქართველ მსახიობთა ამხანაგობ. მიერ წარმოდგენილი იქნება: შექსპირის ცნობილი პიესა
**═══ ჰ ა მ ლ ე ტ ი ═══**
ტრაგ. 5 მოქ. თარგ. ი. მაჩაბლისა.
**უმთავრეს როლებს შეასრულებენ ჰამლეტი—ვლ. მესხიშვილი, პოლონიუსი—კ. მესხი, მეფე კლავდიუსი—ი. ივანიძე, მესაფლავე—ვ. გუნია, ოფელია—ტ. აბაშიძე, ლაერტი—დ. მგალობლიშვილი, აქტიორი—გ. იშხნელი.**
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტ. აბაშიძე, ამირაჯიბი, ქილარჯიშვილი, ნებიერიძე. ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, არადელი, ი. იშხნელი, გუნია, ივანიძე, ჟღენტი(?), მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, საფაროვი, ციციშვილი. ადგილ. ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი საღ. 8½ საათზე.**
ადმინისტ. გ. იორდანიშვილი. (3—199—2) რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

**ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახ. სახლი.**
ორშაბათს 23 აპრილს 1912 წ.
**გ ა ი მ ა რ თ ე ბ ა სალიტერატურო-სამუსიკო დ ი ლ ა**
1. გ. ბილანოვი წაიკითხავს ლექციას სიყვარულზე. 2. განყოფ. წაიკითხავენ ლექსებს: ი. გრიშაშვილი—,,***'', დარჩია—ლექსს, ბებიაშვილი—ლექსს, მჭედლიშვილი—,,***'', 3. ფრანგიშვილი—ცრემლები, ქ-ნი კავთელი—,,***'', ქუჩიშვილი—მშიერის ამონაკვნესი. 3. გ. ს. ერთაწმინდელი—ეტიუდი, ს. მეტეხელი—მოთხრობა, მ. მთია-ძირელი—ლექსს. წაიკითხავენ სცენებს: რ. სალაყაია—იმერულ სცენებს, შ. საფაროვი—სომხურ სცენებს, გ. ანაშვილი—კინტოურ სცენებს, ფირუმოვი—სომხ. სცენ. გ. სვანელი—კინტ. სცენ. 4. გან. გ. ჩუბინოვი—იმღერებს ქართულ რომანსებს, პ. ფრანგიშვილი იმღერებს ურმულს, სალაყაია და გელიკურაშვილი იმღერებენ საამდროვო კუპლეტებს ,,ვაი-ვუის'' ხმაზე. ქართული ხორო შეასრულებს სხვა და სხვა სიმღერებს ეროვნულ ტანისამოსში. აკომპანიმენტებს დაუკრავს პავლიევი. ბილეთები ისყიდება თეატ. კასაში დილის 12-ან 2-ს და 6-ან საღ. 8 ს. ადგილების ფასი 5 კ. 50 კ. დასაწყისი დილის 1 საათზე. ( —389—1)

სტამბა **„ბეჭდვითი საქმე“** ბ. კილაძისა
1912 **წლ. 1 მაისამდე** მართავს ხელის მოწერას ცნობილ **მსოფლიო პოეტის**
**ჰენრიხ ჰეინეს**
**რჩეულ ლექსებზე.** ✦ **ქ. ო—ლიას თარგმანი.** ✦ წიგნს დაერთვის წინასიტყვაობა, **ჰეინეს ბიოგრაფია**, სურათი და კარლ მარქსის მოგონება ჰეინეზე, წიგნი დაახლოვებით გამოვა 200 გვერდამდე მოზრდილი ზომის, დაიბეჭდება კარგ ქაღალდზე; ყოველივე ღონეა მიღებული, რომ გამოიცეს შნოიანად და ეღირება **60** კაპ. ხელის მომწერლებისათვის, ხოლო არა ხელის მომწერლებისათვის დაბეჭდვის შემდეგ წიგნი ეღირება **ერთი მან.** **წიგნი ხელის მომწერლებს დაურიგდებათ მაისის დამლევს.** ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში: გაზ. ,,თემი''-ს რედაქციაში, წ.-კ. საზოგადოების წ. მაღაზიაში, ბ. კილაძის სტამბაში ველიამ. 6, ზუბალაშვილების სამკითხველოში, მარო რამიშვილთან, მარო ჟღენტთან, რახილი კალანდაძესთან, ფილიპე მგელაძესთან. **ქუთაისში:** ის. კვიცარიძესთან, **ბათუმში:** გრ. სოლოღოვთან, გ. თავართქილაძის სტამბაში, **ფოთში:** ანტონ ჟღენტთან, გერმანე იმნაიშვილთან, **ჭიათურაში:** ალ. მითაიშვილთან, **გურიაში** ემელიანე ლომთათიძესთან, ფული და წერილები გამოიგზავნება შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Типографія В. Киладзе Вельяминовская № 6. (6.373.5)

ქ უ თ ა ი ს ი
● **ახალ ჭურჭლეულ-ავეჯეულობის მაღაზიაში** ●
**ფ. ს. ფილიპპოვისა,**
ალექსანდროვ. ქ., ზ. კოკოჩაევის შენობაში, ელექტრო-თეატრი ,,თამარის'' გვერდით.
**საზოგადოების სურვილით**
**გრძელდება იშვიათი იაფ-ფასიანი ვაჭრობა**
**აპრილის დამლევამდე.** ფასები ნაღდზედ და შეუვაჭრებლად.
(25.1187.13) პატივისცემით **ფ. ს. ფილიპპოვი.**
ქ უ თ ა ი ს ი

**ყურადღება!**
თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,
**ყურადღება მიაქციონ**
**ახლად გამოსულ პაპიროსებს**
**„ი რ ი ს“,**
25 ცალი 15 კ. ® 10 ც.—6 კ.
**საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა,**
ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.
**ყველგან იყიდება.**
თამბაქ. ქარხანა
**„ძმ. სეილანოვები“**
ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42. (100.1036.25)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხლის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო.**
**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**
**სტაცი ნალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი | **ამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. |
| | **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| [illegible] | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| | **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვების [illegible] | **ამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. [illegible] | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. [illegible] | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალ. [illegible] | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½. |
| კან. [illegible] | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wass-rman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **,,606'' წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—10[illegible])—318)

ქ უ თ ა ი ს ი
შუაგულ ქუთაისში, „**მწვანე ბაზარში**“, **ახლად გაიხსნა**
**ლამაზად გაკეთებული და მორთული**
**პირველ-ხარისხოვანი სასტუმრო**
**„ბ რ ი ს ტ ო ლ ი“**, მშვენიერი ფოიეთი, სამკითხველოთი და ელექტრონის განათებით. სასტუმროსთან მოწყობილია **საუკეთესო სამზარეულო,** სადაც მზადდება ყოველ დღე **ახალი გემრიელი საჭმელები.**
**ფასები ზომიერია.** ქ უ თ ა ი ს ი (25.1194.8)

**დამაარსებელნი** ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებაში **მოსამსახურეთა საზოგადოებისა,** სთხოვენ ტფილისელ **ნოქრებს, კანტორებში მოსამსახურეთა** და სხვათა მობრძანდნენ **საზოგადო კრებაზე,** 22 აპრილს, დილის 11 საათზე ტფ. ქალაქის საბჭოს დარბაზში, საზოგადოების წესდების განსახილველად. (2—1223—1)

ქ უ თ ა ი ს შ ი
**ძმ. ე. და პ. საკაშვილები.**
გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ
**1 აპრილიდან** ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი
**რკინეულობის სავაჭრო პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში.**
და შესამჩნევად გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლად, მაგ. კარ-ფანჯრებისა და ბუხარ-ფეჩების მოწყობილება, ლურსმანი, რკინის ნიჩბები. კირკები და სხ., სახელოსნო ხელსაწყობები, ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, ,,ქესტი'', სხვა და სხვა ნაირი ემალიანი ჭურჭლეულობა; ყოველგვარი საღებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.
**ფ ა ს ე ბ ი ზ ო მ ი ე რ ი ა.** (25 1195.7)

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების
**ვერის ბიბლიოთეკა-სამკითხველო**
გადავიდა ახალ ბინაზე: არამიანცის ქარვასლაში, ოლგის ქუჩაზე, № 29. ღიაა დილ. 10—2 საათ. და საღ. 6—8 ს. კვირა-უქმ.: დილ. 11—4 ს. ბიბლ.-სამკ. არის ყველა ქართული წიგნი და ჟურნ.-გაზ. მოსწ. და მუშათ. თვიური გადასახადი 10 კაპ. (10—1207—6)

**გამოვიდა და იყიდება**
ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების
**წიგნის მაღაზიაში**
ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების
**სალიტერატურო კრებული**
**„გ რ დ ე მ ლ ი“**
**ფასი 1 მ. 50 კ.** (თ.1098.62)

ი. გედევანიშვილის
**„გ ა მ ც ე მ ი,“**
3 მოქმ. დრამა.
**დაიბეჭდა** ცალკე წიგნად და **იყიდება** 25 კ. ქართულ წიგნის მაღაზიებში. (10.1312.4)

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**
**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ**
შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1534—206)

**საგურთალოზე**
**მშვენიერ ალაგას,**
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 284)

**შპალიერი**
**ძმ. ტარნოპოლთა**
**ქარხნისა.**
**ტფილისის განყოფილება.**
იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., **ტელეფ.** № 355.
**საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.
შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.1159.10)

**ელექტრონისა და რენტგენის**
**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**
**მიხ. გედევანიშვილისა**
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—38).

**დოქტორი მედიცინისა**
**ი. ე. თიკანაძე**
სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.
საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 150)

**ექიმი** ე. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067) (100—1117—143.

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**
**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,
**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
**ბ. ა. მოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.
**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით
**წამლობა ,,606 -**
(წლ.—1018—252)

გამოცდილმა
# მასწავლებელმა

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.146)

**ექიმი** კბილისა **არჩილ (გიორგი ბ—ძე) დოლიძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.
რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა** № 166. (25.1179.21)

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.
მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ.**, № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ.
(25—1178—20)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ვადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—75.

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ [illegible] იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—75)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 1.

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, ისტლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები), ცუფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.94).

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.


# ტფილისი, 21 აპრილი

**მომავალი საეკლესიო კრება.** რუსეთის გაზეთებში ბევრსა სწერენ მომავალ საეკლესიო კრებაზე, რომელმაც, ზოგიერთ მწერალთა აზრით მაინც, ცვლილება უნდა შეიტანოს რუსეთის საეკლესიო ცხოვრებაში და მოუპოვოს მას ცოტაოდენი დამოუკიდებლობა. სასულიერო მწერალთა სფერაში ბევრნაირი აზრია გამოთქმული მომავალ საეკლესიო კრების შესახებ. უკმაყოფილო ბევრია. სინოდის ბატონობა საეკლესიო, წმინდა კანონების საწინააღმდეგოდ მიაჩნიათ. მართლაც, თუ ისტორიულსა და წმინდა კანონების თვალსაზრისით შევხედავთ საკითხს, საერო პირის მიერ შექმნილ დაწესებულებას ვერ შეუძლიან იბატონოს სამღვდელოებაზე, თუნდაც ეს დაწესებულება სასულიერო პირთაგან შესდგებოდეს. რუსეთის უწმინდესი სინოდი, შექმნილი პეტრე დიდის მიერ, სწორედ ასეთი დაწესებულებაა. რუსეთის უდიდესმა რეფორმატორმა, პეტრე პირველმა გააძლიერა პრეროგატივები მონარქისა და ჩამოაყალიბა პრინციპი თვითმპყრობელობისა. მაშინ მის ტენდენციებს წინ ეღობებოდა საეკლესიო ძალა, რომლის სათავეშიაც რუსეთის პატრიარქი იდგა. პეტრე დიდმაც გააუქმა პატრიარქობა და საეკლესიო საქმეები ჩააბარა კოლლეგიალურ დაწესებულებას —სინოდს, რომელმაც ოფიციალურად დაიწყო მოქმედება 1721 წელს. ამ დღიდან ყველა საეკლესიო საქმეებს განაგებს უწმინდესი სინოდი, რომელიც საერო მთავრობის დაწესებულებად გადაიქცა. სინოდთან არსებობს თანამდებობა ობერ-პროკურორისა, რომელიც საერთო მთავრობის წარმომადგენელად ითვლება. ეს თანამდებობა დაწესდა 1722 წ. იგი მინისტრის უფლებებითაა აღჭურვილი და მინისტრთა საბჭოს წევრად [illegible] ობერ-პროკურორი მხოლოდ იმისთვის უნდა ყოფილიყო, რომ სინოდის მოქმედებისთვის თვალ-ყური ედევნებინა. მაგრამ თან და თან ობერ-პროკურორის მნიშვნელობა გაიზარდა, და დღეს ფაქტიური ხელმძღვანელი საეკლესიო საქმეებისა საერო კაცი ობერ-პროკურორია.

ასეთი წესი საეკლესიო მართვა-გამგეობისა სასულიერო წრეებში უკმაყოფილებას იწვევდა. ბოლოს მთავრობამაც გადასწყვიტა, მოიწვიოს რუსეთის ადგილობრივი სასულიერო კრება, რომელსაც საჭირ-ბოროტო საეკლესიო საკითხები უნდა გამოერკვია. რეაქციის გაძლიერებისას ამ კრების მოწვევა გადასდეს. ეხლა კვლავ დაიწყეს ლაპარაკი კრების მოწვევაზე. ძნელია თქმა, მოიწვევენ საეკლესიო კრებას თუ არა, მაგრამ ამ კრებისთვის კი რუსეთის სამღვდელოება და მთავრობა ემზადება.

ერთს უმთავრეს საკითხადაა გადაქცეული პატრიარქობის საკითხი. სამღვდელოების ნაწილსა ჰსურს აღადგინოს რუსეთში პატრიარქობა. აღადგენილი იქმნება პატრიარქობა თუ არა, თუ აღადგინეს, რანაირი ურთიერთობა დამყარდება საერო მთავრობასა და პატრიარქს შორის,— ყველა ამას მომავალი გვიჩვენებს.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, მომავალ საეკლესიო კრებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ, ხელმწიფე-იმპერატორის სურვილისამებრ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი სწორედ ამ კრებამ უნდა განიხილოს. ადგილობრივი პატრიოტული გაზეთი „გოლოს კავკაზა", რუსეთის ნაციონალისტური პრესა ავტოკეფალიის საკითხს სეპარატიზმად სთვლიან, მაგრამ ბოლოს ისინიც იძულებულნი გახდებიან ანგარიში გაუწიონ იმ გარემოებას, რომ ხელმწიფემ საბოლოვო გადაწყვეტა ამ საკითხისა რუსეთის საეკლესიო კრებას მიანდო.

წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ მომავალ საეკლესიო კრებაზე, თუ კიდეც შეიკრიბა იგი, დიდს იმედებს ვერ დავამყარებთ. ეხლავე ცდილობენ ამ კრებას ისეთი ხასიათი მისცენ, რომ ასეთი ძირითადი საკითხები დაჩრდილოს და განუხილველი დარჩეს. მიუხედავად ამისა, რუსეთის სასულიერო წრეებშიაც ბევრია ისეთი, რომელსაც საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურ ეკლესიად მიაჩნია.

ამისთანა პირობებში არც ჩვენი სამღვდელოება უნდა იჯდეს გულზე ხელ-დაკრეფილი. რახან ხელმწიფემ საქართველოს ავტოკეფალიის საკითხის განხილვა მომავალ საეკლესიო კრებას მიანდო, ქართველი სამღვდელოებაც უნდა მოემზადოს ამ კრებისთვის, შეაგროვოს საჭირო მასალა, საბუთები. ვის შეუძლიან ისე კარგად მასალების შეგროვება, როგორც ქართველ სამღვდელოებას? ძნელია თქმა, საეკლესიო კრებას აუცილებლად მოიწვევენო, მაგრამ ადვილად შესაძლებელია მოიწვიონ, და ამ დღისთვის ქართველი სამღვდელოება მზად უნდა იყოს. ეს პირდაპირი მოვალეობაა ქართველ სამღვდელოებისა, თუ მას კიდევ შერჩენია უნარი მოვალეობის შეგნებისა!

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ფინლანდიის დასახასიათებლად „ნოვოე ვრემია"-ს მოჰყავს ერთი „ღია წერილი ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორისადმი", დაბეჭდილი გაზეთ „Tyo"-ში. მოგვყავს უცვლელად:

„თქვენო მაღალ აღმატებულებავ, გაზეთებიდან შევიტყე, რომ თქვენ აგიკრძალნიათ პირველ მაისობის სადემონსტრაციო ნიშნების გაყიდვა. თქვენი განკარგულება დაგიმყარებიათ 1847 წ. გამოცემულ ძირითად კანონებზე, რომლის ძალითაც ფულის მოგროვება გენერალ-გუბერნატორის ნებართვით უნდა ხდებოდეს.

თუმცა გუბერნატორებისათვის გიბრძანებიათ, რომ ხელი შეუშალონ ამ ნიშნების გაყიდვას, მაგრამ თქვენი ბრძანება უკუღმა შესრულდება. თქვენი ბრძანება მხოლოდ რეკლამობას გაუწევს ამ საქმეს. მუშებს არა ჰგონიათ, რომ ამ შემთხვევაში კანონი თქვენს მხარეს იყოს. 1847 წ. კანონები არაოდეს არ ასრულებულა და ამის გამო მას არავითარი ფასი არა აქვს. უკეთუ გსურთ სისწორით შეასრულოთ ყველა კანონები, თქვენ, ბატონო ზეინ, სამსახურიდან უნდა გადასდგეთ, ვინაიდან ფინლანდიის ძირითად კანონების ძალით აქ მხოლოდ და მხოლოდ ფინლანდიელებს აქვთ უფლება სამსახურისა. იმ ნიშნების გასყიდვა ხალხის სასარგებლოდ ხდება და ამისათვის კანონიერიცაა. ამისა გარდა თითო ნიშანი გაიყიდება 25—50 პენად (პენი 4 კაპეიკია) და დიდი თანხაც ვერ შეგროვდება. რაც შეგროვდება, მხოლოდ ხალხის განათლების საქმეს მოჰხმარდება.

რადგანაც პირველ მაისს აუარებელი ხალხი დაიძვრება პეტერბურგისაკენ ბაირაღებით, რომ, „ნოვოე ვრემიას" სიტყვით პეტერბურგი აიღოს, საჭიროა თქვენ ხელქვეითთ სასტიკი ბრძანება მისცეთ, განზრახულ აჯანყების ჩასაქრობად. თქვენ კი ჩაბრძანდით სწრაფ მატარებელში და გაეშურეთ პეტერბურგს დასტურის მისაღებად, რომ ფინლიანდიაში სამხედრო წესები შემოიღოთ. მხოლოდ თან წაიღეთ ჩვენი ქინძისთავი, კომპასი და რუქა. სწრაფად აამოძრავეთ ყველაფერი, თორემ პირველი მაისი მოახლოვებულია.

კარგის რჩევისათვის გთხოვთ მანამ ცოცხალი ვარ პენსია დამინიშნოთ ფინლანდიის ხაზინიდან.

თქვენი რიტახუხდან ესა".

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგნენ** 19 აპრილს: ტფ. ქალაქის საბჭოს დეპუტაცია ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის მეთაურობით და ნამესტნიკის თანაშემწე გენერალი ნ. პ. შატილოვი.

✦ **ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ე. ა. ვატაცი** 19 აპრილს დაღესტნის საოლქო გამოფენის დასათვალიერებლად გაემგზავრა.

✦ **ნაძალადევის და ლოტკის გორის** მოიჯარადრეთა ზოგიერთი ადგილი საჯარო ვაჭრობით ქალაქს დარჩა. ახლა განზრახულია, მოიჯარადრეებს ადგილი კვლავ დაუბრუნონ. ამ საკითხს ქალაქის საბჭო თავის ერთ-ერთს უახლოეს კრებაზე განიხილავს.

✦ **„გვირილობა" ტფილისში.** გუშინ, 20 აპრილს, მთელს ქალაქს დიდებული, სადღესასწაულო ელფერი ედო. გათენებისას ტფილისში წვიმა მოვიდა, შუადღის შემდეგ გამოიდარა. დილიდანვე ტფილისში დაიწყო გვირილის გაყიდვა. გამყიდველი ქალნი ქუჩაქუჩა დაიარებოდნენ კალათებითა და ყულაბებით და მათგან გამვლელნი დ გვირილას დიდის ხალისით ყიდულობდნენ. ამას გარდა ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში გამართული იყო კიოსკები და სტოლები, სადაც აგრეთვე გვირილას ჰყიდნენ, მაგალითად: ერევნის მოედანზე, ვორონცოვის ძეგლთან, სახაზინო თეატრთან, ვერის დაღმართთან, კრკაზე, მუხრანის ხიდთან, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოსთან, კახეთის ქუჩაზე, ადელხანოვის ქარხანასთანა და სხვაგან. ყვავილების გამყიდველნი საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებშიაც შედიოდნენ და გვირილას ჰყიდნენ. ქუჩებზე ხალხს უფასოდ ურიგებდნენ წიგნაკებს (ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ენებზე), სადაც აწერილია ჭლექი და მის წინააღმდეგ საბრძოლველი ღონის ძიებანი. ამას გარდა ამ დღეს სხვა და სხვა ენაზე ჭლექის შესახებ ლექციები წაკითხულ იქმნა: სამეურნეო საზოგადოებაში, სახალხო სახლში, ნაძალადევის აუდიტორიაში და ავლაბრის კლუბში. ქალაქი 12 ნაწილად იყო გაყოფილი და ყოველს ნაწილს მანდილოსანნი ქალები განაგებდნენ. ქალაქში დაიარებოდა ყვავილებით საგანგებოდ მორთული ეტლები. ნაშუადღევს კვლავ წვიმა მოვიდა, რამაც დღესასწაულს დიდად შეუშალა ხელი. გვირილის გაყიდვით რამდენი ფული შეგროვდა ეს დღეს გამოირკვევა. დაბეჭდილი ყულაბები ამ ჟამად ქალაქის გამგეობის შენობაში აწყვია (ყარაულები უყენია) და დღეს გახსნიან ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების გამგეობისა, პრესისა, ადმინისტრაციისა და სხვათა წარმომადგენლების თანადასწრებით.

✦ **სეირნობა მუშტაიდში.** სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა 23 აპრილს მუშტაიდში სეირნობას გამართავს თავის საშუალებათა გასაძლიერებლად.

✦ **მეცხვარეობის გამოფენაზე** (მოსკოვში) ექსპონატების გასაგზავნად კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას 600 მან. მიეცა.

✦ **გუბერნატორმა ნება დართო** ყრუ-მუნჯთათვის მზრუნველ საბჭოს 9 მაისს სეირნობა გამართოს.

✦ **ახალი წიგნაკი.** დაიბეჭდა მეორედ და მცხოვრებთ უფასოდ დაურიგდათ აგრონომ ტარატინოვის წიგნაკი ბამბის მოყვანის შესახებ. ეს წიგნაკი ქართულადა და სომხურადაც არის გადათარგმნილი.

✦ **თავის მოკვლის განზრახვით** 19 აპრილს თავი მოიწამლა დიმიტრი ქიტესას ძე ეგრისაშვილმა, რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ **სურამის ნაბოქაულარი დიშნინსკი,** რომელსაც ადამიანის წამებისთვის სასამართლომ [illegible] რა და პატ-მართა გამასწორებელ რაზმში [illegible] ანთავისუფლეს, რადგან მისი სათავდებო ფული (2,000 მან.) სასამართლოს უკვე წარუდგინეს.

✦ პოლიცმეისტერმა ბოქაულებს დაავალა წარუდგინონ მას სია მაგარ სასმელების დუქნებისა, რომლნიც მართლმადიდებელთა ეკლესიებზე ახლოს არიან. ასეთი დუქნები უნდა დაჰკეტონ.

✦ **სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე,** რომელიც თემირ-ხანშურაში გაიმართა, კავკასიის საბრეშუმო სადგურმა თავისი ექსპონატები გაჰგზავნა.

✦ ამ ჟამად ბრიუსელში მყოფს, **დ. კასრაძეს** დაუმთავრებია ახალი მოთხრობა **„ოქროს თმიანი დედოფალი"**. მოთხრობა დიდი ზომისაა. კასრაძე გამომცემელს ეძებს. მსურველს შეუძლიან მისი ადრესი ჩვენს რედაქციაში გაიგოს.

✦ გადმოითარგმნა და მოკლე ხანში ხელ-მოწერით გამოიცემა **გ. ზოლას „ქვა-ნახშირის მთხრელები"**. წიგნი 400 გვერდზე მეტი გამოვა და დაეწერება სათაურად „მაღაროები".

✦ ცხრამეტ აპრილს ტფილისში 56 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ვაჭართა შორის.** 18 აპრილს ა. ნ. მილოვის თავმჯდომარეობით ვაჭრებისა და საბირჟო კომიტეტის წევრთა საერთო კრება მოხდა. კრების საგანი იყო: ზომების შემუშავება იმ ვაჭართა წინააღმდეგ, რომელნიც თავს ძალად იკოტრებენ და ვალს აღარ იხდიან. კრებამ დაადგინა: ყველა მოვალეა, ვინც კი გაიგებს, რომ რომელიმე ვაჭარი გაკოტრებას აპირობს, ეს ამბავი ვაჭართა მამასახლისს, ან საბირჟო კომიტეტს აცნობოს; მოვალენი არიან ვაჭრები აგრეთვე აცნობონ, თუ რომელიმე ვაჭარმა უკვე თავი გაიკოტრა. გაკოტრებულს ვაჭარს არავინ არ უნდა მიჰყიდოს საქონელი, არც ნისიად და არც ნაღდ ფულზე საბირჟო კომიტეტის დაუკითხავად და სხვ. ამ დადგენილების დამრღვევნი ასი თუმნით უნდა იქმნენ დაჯარიმებულნი. დასასრულ კრებამ საგანგებო იურისკონსულტს დაავალა, ამ დადგენილებას კანონიერი ფორმა მისცეს.

✦ **სამკურნალო საზოგადოების კრება** 24 აპრილისათვის არის განზრახული.

✦ **ახალი სასწავლებელი.** სახალხო სკოლების დირექტორმა გუბერნატორს წარუდგინა ახალციხის მაზრის სოფელ არალის მცხოვრებთა განაჩენი, რომელითაც უკანასკნელნი პირველ-დაწყებით სკოლის დაარსების სურვილს აცხადებენ.

## სომეხთა ცხოვრება.

✦ გუშინ მოხდა კავკასიის სომეხ ქალთა საქველმოქმედო საზოგადო-

# კიზელგური ანუ ინფუზორიის მიწა და მისი მომავალი ჩვენში.

ამ ექვსი თვის წინად საადგილ-მამულო კომისიამ მიიღო პ. ი. იეზაშვილისაგან განცხადება, რომ მის მამულში არის დიდ-ძალი ინფუზორიის მიწა და ითხოვა დახმარება მის დასამუშავებლად. საადგილ-მამულო კომისიის კრებამ თავისი მხრით აირჩია პატარა კომისია, რომელშიაც შედიოდნენ სხვათა შორის ინჟენერი ვაწაძე და პლატონ ლორთქიფანიძე, და დაავალა ადგილობრივ გამოეკვლია ამ მიწის რაოდენობა და ხარისხი: არჩეულთ ჩინებულად შეასრულეს ეს დავალება და დაახლოვებითი პროექტიც წარმოადგინეს ამ მიწის დამუშავებისა.

ბევრს არც კი ექნება გაგონილი რას წარმოადგენს კიზელგური (ინფუზორიის მიწა) და რა მნიშვნელობა აქვს მას თანამედროვე მრეწველობაში, ამიტომ მოკლედ მოგახსენებთ მის აღწერილობას.

კიზელგური გეოლოგიურად წარმოსდგება აურაცხელ მიკროსკოპიულ მცენარეებისაგან, რომელნიც ათასი წლების განმავლობაში სცხოვრობდნენ, იხოცებოდნენ და გროვდებოდნენ ზღვებისა და სხვა წყლების ძირზედ. თუ ჟამთა ვითარების გამო ეს წყლები დამშრალა, მაშინ კიზელგური ზედა-პირზედაც არის.

აქამდის სამრეწველო დამუშავება მისი მხოლოდ გერმანიაში იყო—Oberolie-ში. განნოვერის ახლო, რადგან სხვა ადგილებში იგი მეტად ცოტაა და ცუდი ხარისხისა.

1893 წ. მ. ბეთანიშვილმა აღმოაჩინა საუკეთესო ხარისხის კიზელგურიდ ახალციხის ახლო თავის საკუთარ მამულში და მრავალი ანალიზებით და ცდებით დაამტკიცა, რომ იგი არამც თუ არ ჩამოუვარდება განნოვერისას, არამედ ბევრი თვისებით გაცილებით უკეთესია. მაგრამ, ვიდრე გადავიდოდე იმაზე, თუ რა გააკეთა ბეთანიშვილმა და რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ ინფუზორიის მიწის ხეირიანად გამოყენებისათვის, მე საჭიროდ მიმაჩნია გაკვრით მაინც გავაცნოთ კიზელგურის მნიშვნელობა და მისი გამოყენება.

კიზელგურს ორი შესანიშნავი თვისება აქვს: 1) ფიზიკური: მეტად **მცირე** სითბო-ქვანვა ანუ გატარება (теплопроводность), და სიმჩატე, რაც დამოკიდებულია მის აგებულობაზე და 2) ქიმიური შედგენილობა $SiO_2$—ტალმიწა და მჟავბადი (кремнеземъ и кислородъ), რომელიც ჰეტად ძვირფასი და აუცილებელი საგანია მრავალი წარმოებისა.

1. ალფრედ ნობელმა, შვეციის გამოჩენილმა ინჟინერმა 1867 წ. პირველმა აღმოაჩინა კიზელგურის განსაკუთრებული თვისება ნიტრგლიცერინის შეხრუტნისა (4-5 ჯერ მეტ წონისა, ვიდრე თვით კიზელგურია) და ამით მთელ კაცობრიობას მისცა **ერთად-ერთი** საშუალება ისეთი მძლავრი და სახიფათო ასაფეთქებელის გამოყენებისა, როგორიც არის ნიტროგლიცერინი. ნობელის სამ-გვარი **დინამიტი** აუცილებლად მზადდება სამგვარი ნივთეულობის შერევით:

| | I | II | III |
|---|---|---|---|
| ნიტროგლიცერინი | 75% | 50% | 30 |
| კიზელგური . . | 24,5% | 49,5% | 69,5 |
| სოდა . . . . | 0,5% | 0,5% | 0,5 |

რა მნიშვნელობა აქვს დინამიტს სამხედრო და სამთამადნო საქმეში, ეს ყველამ კარგად იცის.

II. **ულტრამარინი,** მშვენიერი ცისფერი საღებავი, რომელსაც ტეხნიკაში დიდი ფასი და გასავალი აქვს, აგრეთვე მზადდება კიზელგურის დახმარებით:

| | | |
|---|---|---|
| $SiO_2$ (კიზელგური) . | 35,8% | არის სხვა ოდენობით. |
| თიხა მიწა . . . . | 34,8% | |
| Na (ნატრი) . . . . | 23,2% | |
| S (გოგირდი) . . . | 3,1% | |
| $CaCO_2$ (ნახშირმჟავე კირი) | 3,1% | |

ლიბიხი ამბობს: „ულტრამარინის გაკეთება გვირგვინია (ბუნებრივი ულტრამარინი მეტად ძვირია) მინერალურ ქიმიის აღმოჩენათა მინერალების ხელოვნურად დამზადებაში". ეს აღმოჩენა ეკუთვნის ფრანგ-ქიმიკოსს გიმეს (Guimet)—1827 წ., რომელსაც „La Société d'encouragement"-მა მიუსაჯა 6000 ფრანკი ჯილდო.

„თუ მოვიგონებთ ე. ბიუხნერის სიტყვებს: „შეუძლებელია ულტრამარინის გაკეთება უკიზელგუროდ" და მივაქცევთ ყურადღებას სტატისტიკის ცნობას, რომ მარტო ულტრამარინის გასაკეთებლად რუსეთში იხმარება 100,000 ფუთი ამ მიწისა, გერმანიიდან მოტანილი, ჩვენ დავინახავთ, რამდენი მიწა შეუძლიან მიაწოდოს კავკასიამ მარტო ამ დარგისათვის".*)

III. კიზელგური იხმარება აგრეთვე **ხსნადი მინის** (растворимое стекло) შემუშავებაში, რომელიც აღმოაჩინა პროფეს. ფუქსმა 1818 წ. (ფუქსის მიწა). ერთ ნაწილ კიზელგურიდგან სხვა და სხვა შეზავებით გამოდის 2—2,1 ხსნადი მინისა. ხსნადი მინა კი აუცილებელია:

ა) **საუკეთესო საღებავებისათვის,** რომლებიც ამის გამო მშვენივრად ირეცხება წყლით და არა ფუჰდება. ბ) **საპნის დამზადებაში,** ნამეტნავად მატყლეულობის სარეცხავად. გ) **ქაღალდის** სათეთრებლად. დ) როგორც თახახი ქსოვილებისა, მათი და შპალიერების ბეჭდვისათვის და სხ.

ე) თიხისა და რკინეულობის **ქაშანურ-მინანქრისათვის** და მრავალი სხვა.

IV **საამშენებლო და სახუროთმოძღვრო** საქმეში შეუდარებელი მასალაა როგორც **ცეცხლ-მიუდგომელი, მსუბუქი** (კიზელგურის აგურები საუკეთესონი არიან კედლისა და ნამეტურ თაღებისა და კამარების გადაყვანისათვის), ბათქაში და სალესი, სითბოს უქვანავი (нетеплопроводны). უკანასკნელი თვისება მეტად ძვირფასია ყოველგვარ მანქანებში, რაც, სითბოს შენახვაა საჭირო, მაგ. ორთქლმავალებზე და გემებზე, ქარხანა-ფაბრიკებში და სხ. ამ დარგებში უთვალავ ეკონომიას უწევს პატრონებს 20—30% სითბოს დაცვით. ამასთანავე იგი სრულიად **არ იწვის** და ყველგან, სადა დიდი ცეცხლია, საჭირო, აუცილებელ საგანს წარმოადგენს. საქარხნო, საელექტრონო, საქიმიო ფეჩებში.

ბეთანაშვილის კიზელგური სხვათა შორის გამოსცადა მთავარმართებელმა შავი ზღვის ფლოტისა, ვიცე-ადმირალმა კოპიტოვმა და დაასკვნა, რომ ხარისხით, სიაფით და სითბო-უქვანავი თვისებით კავკასიის კ.-მიწა გაცილებით სჯობნის ყველა აქამდის ხმარებულს. საზოგადოდ კ.-მიწისაგან ამზადებენ სითხეს, რომელშიაც ურევენ ბეწვს, ფქვილს, შაქარს და სხ. და ამ გვარად მომზადებულს (замазка цементъ) უსვამენ ყველა ორთქლის გამტარებელ მილებს, ქვაბებს, ფეჩებს და სხ.

ამისთანა გამოცდებმა მიიპყრეს ყურადღება საზღვაო სამინისტროსი, რომელმაც ღირსად სცნო ახალციხური კიზელგური და საგანგებო ცირკულიარიც კი გამოსცა (6 თებ. 1897 წ. № 5) შემდეგის შინაარსით: „საზღვაო სატეხნიკო კომიტეტი". მიაჩნია რა სასარგებლოდ საზღვაო სამინისტროს საჭიროებისთვის ხმარება ინფუზორიის მიწისა (კიზელგური ახალციხის ბეთანიშვილის მამულიდან) როგორც ორთქლის ქვაბებისა და ორთქლის გამყვან მილების დასაფარავ საუკეთესო საშუალებისა, აცხადებს, თანახმად საზღვაო სამინისტროს ნებართვისა, რომ ეს მიწა მიღებულ უნდა იქმნას შემდეგის წესების მიხედვით".

ამას მოსდევს კიზელგურის მიმღები წესები.

როგორც ხედავთ, ამ მიწას ბევრისაგან ბევრი გამოსადეგი თვისება აქვს და აღარ გავიგრძელებთ სიტყვას მათი დაწვრილებითი აღწერით, მხოლოდ ჩამოვთვლი და ისიც შემოკლებით კიდევ რამდენიმეს.

იხმარება: ლაქის და წუმწუმის დამზადებაში; საწკნობების (ფილტრების) გაკეთებაში (მაგ. ბაქოს წყალსადენში), შუშის და **ბროლის** გაკეთებაში, ცეცხლ მიუკარებელ საღებავებისა და ყუთების გაკეთებაში ფულის შესანახად; როგორც მინერალი-სასუქი და მრავალი სხვა.

კიზელგურის აგური, ცნობილი თავის სიმჩატით (წყალზე დასცურავს) ჯერ კიდევ საბერძნეთსა და რომში, შეუდარებელია როგორც ცეცხლთან მებრძოლი და ცეცხლისაგან მფარველი მასალა; არ გაჰყავს ხმა კედელში, სახურავებში, ჭერში და ამ თვისებით სარგებლობენ ტელეფონისათვისაც; საუკეთესო მასალაა შენობების დეზინფექციისა და ჰიგიენისათვის, რადგან მასში არა ჩნდება და არ იბუდებს არავითარი მავნებელი უხილავი მწერი.

და აი ჩვენს ქვეყანაში, რომელიც მდიდარია ყოველგვარის მადნეულობით, მცენარეებით, ბუნებით და ძველადგანვე ცნობილია, როგორც ლითონის დამამუშავებელი ხალხით დასახლებული, სადა მართლა „ქრისტემ თავისი კალთა დაიბერტყა", აღმოჩნდა ეს ძვირფასი მიწაც.

ახალციხესთან 7—8 ვერსის მანძილზე ასამდე დესეტინა მიწა 10—15 ადლის სიღრმეზე დაფარულია ამ განძით, რომელიც ერთმა გერმანელმა ინჟინერმა დააფასა 200,000,000 მან. მეტად. ეს განძი თხოულობს მხოლოდ სამუშაო ხელს და ცოტაოდენ ფულს, რომ გული გადაგვიშალოს, **საქმე** და **ფული** გაუჩინოს მრავალს მუშას და მცოდნეს, დაეხმაროს საზოგადოებრივ დაწესებულებათ, გაგვიკვლიოს სამრეწველო გზა, რომელიც ისე, აუცილებელია ჩვენთვის და ხელი შეუწყოს სხვა სამრეწველო დარგების აღორძინებასაც ჩვენში.

ბეთანიშვილმა მთელი თავისი ცოდა, ენერგია და სარჩო ამ საქმეს მოანდომა თურმე*) და ვერას გახდა უსახსრობისა გამო. იგი მოკვდა, მაგრამ სახელი იმით მაინც დაგვიტოვა, რომ ქვეყანას გააცნო და ჩვენცა ჩვენი მიწის თვისებანი. პარიზში, ლონდონში საუკეთესო პროფესორებს გააკეთებინა ანალიზი და ხა-

*) «Примѣненіе кавказскаго кизельгура въ заводскихъ производствахъ и въ строительной техникѣ". Инженер-технологъ Р. Л. Коганъ.

*) ინჟ.-ტეხნ. კოგანი „Применение кав. кизелькура.

ების კრება. კრებამ დაადგინა, საკუთარი შენობა შეიძინოს საზოგადოებისათვის.

✦ დღეს, საკუთარ შენობაში, მოხდება წლიური კრება კავკასიის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებისა, საბჭოს წევრების ასარჩევად და სხვა და სხვა საკითხების განსახილველად. ამ კრებას დაესწრებიან საზოგადოების განყოფილებათა წარმომადგენელნიც.

✦ დონის ნახიჩევანის სომეხ საზოგადოებას „მშაკის" ფონდის სასარგებლოდ შეუგროვებია 3000 მანეთი.

✦ როსტოვში მცხოვრებ სომხებს გადაუწყვეტიათ „მშაკის" 40 წლის არსებობის გამო თავიანთ ფულით ამ გაზეთს საკუთარი სტამბა უყიდონ.

✦ მთავრობამ ნება დართო ბიუროს სომეხთა საკულტურო საზოგადოებას ქ. ერევანში ძეგლი დაუდგას სომეხთა პირველ სახალხო მწერალს ხაჩატურ აბოვიანს.

✦ „მშაკის" საიუბილეო კომიტეტმა ქ. ასტრახანიდან ა. ადამიანისაგან მიიღო 100 მანეთი.

„მშაკის" იუბილეის გამო ტფილისში დაარსებულ სომეხ ქალთა კომიტეტმა დაადგინა, ერთი წარმოდგენა გამართოს ახლო ხანში, რის შემოსავალითაც უნდა გამოსცეს კრებული, რომელშიაც დაიბეჭდება ყველა ის წერილები, რომელნიც ამ გაზეთის არსებობის განმავლობაში დაბეჭდილა „მშაკში" ქალთა საკითხის გამო. ამ კრებულის შემოსავალი გადაეცემა საიუბილეო ფონდს.

**მაჰმადიანთა ცხოვრება.**

✦ კავკასიის ნამესტნიკს წარუდგა ბაქოდან ჩამოსული მაჰმადიანთა დეპუტაცია, რომელიც ნებართვას თხოულობს, რათა ბაქოში გაიხსნას მაჰმადიანთათვის სასულიერო სკოლა „სააღეთი", რომლის საძირკველი უკვე ჩაყრილია.

**სიღნაღი**

✦ **სოფ. ყანდაურის** მცხოვრები მიხეილ აბესაძე ურმით წისქვილში მიდიოდა. გზაზე უცებ ურმიდან გადმოვარდა და ურმის თვალს მოჰყვა. იგი ჩქარა გარდაიცვალა.

**ქუთაისი**

✦ კვირას, 22 აპრილს, ქუთაისის თეატრში **ი. გაბილაია წაიკითხავს მოხსენებას** სრულიად რუსეთის კოოპერატორების კრებისა და სახალხო ბანკის თაობაზე.

✦ მარტის 24 ქუთაისში ცივ სამარეს მიაბარეს მღვდ. **მიხეილ გვაშელიშვილი.** განსვენებული თანამშრომლობდა გაზ. „ივერიაში" „მიხაკო ღებელის" და „რივნის თაველის" ფსევდონიმებით.

**სოფლად.**

✦ სოფ. წინარეხში კატო ლეკიშვილს ღამე შესჭრია იმავე სოფლის გლეხი კოტე მარჯანიძე იმ დროს, როდესაც კატო ლეკიშვილი წვრილი შვილებით მარტო ყოფილა და გაუპატიურება მოუსურვებია. კატო ლეკიშვილს ლოგინიდან დანა გამოუძვრია და ბოროტ-განმზრახველი მოუკლავს. პოლიციამ ოქმი შეადგინა.

## სხვა და სხვა ამბავი

თ-დ. პ. ი. თუმანიშვილმა ტაგიანოსოვმა და ფედოროვმა მიიღეს კონცესია **სიღნაღ - თელავ - ბაქოს რკინის გზისა.**

სამხედრო მინისტრი სუხომლინოვი თანამდებობას თავს ანებებს, მის მაგიერ გენერალ ივანოვს ასახელებენ.

ოქტომბრისტებმა სათათბიროში კანონ-პროექტი შეიტანეს შავ ზღვისა და ბალტიის ზღვის არხით შეერთების თაობაზე.

მუშათა გაფიცვა სახაზინო ქარხნებსაც მოედო. გაფიცულია 300,000 მუშა.

მოსკოვის უნივერსიტეტში სტუდენტთა დემონსტრაციები ხდება. ბევრს ატუსაღებენ.

ავსტრიამ ალბანეთის საზღვრებზე ჯარს თავი მოუყარა.

საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა, საფრანგეთიდან ანარქისტები გააძეოს.

ჩინეთის ეროვნულმა კრებამ დაადგინა ჩინეთში შემოიღოს ფედერატიული მართვა-გამგეობა, ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების მაგვარი. მთელი ჩინეთი 37 ავტონომიურ შტატად დაიყოფა.

დარდანელის შეკვრის გამო ბაქოდან ნავთის გაზიდვამ ერთი მესამედით იკლო.

## სალიტერატურო-სამუსიკო დილა

**ზუბალაშვილის სახლში.**

კვირას, 15 აპრილს, მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების გამგეობით გაიმართა სამუსიკო-სალიტერატურო დილა. ეს დილაც დაიწყო ბ. ილია ნაკაშიძის საყურადღებო ლექციით განსვენებულ, ნიჭიერ მწერალ **ეგნატე ნინოშვილზე.**

ძნელი, პასუხსაგები, მაგრამ ამასთანავე სასიამოვნო მოვალეობა ვიკისრე დღესაო,—დაიწყო ლექტორმა თვისი სადა ბაასი ნინოშვილზე, მსმენელებს გაუზიარა პირადი ნაცნობობა (ამ ოცი წლის წინად) ნინოშვილთან და აღიარა, რომ უკანასკნელის სიცოცხლის მოსპობის ერთ უმთავრეს მიზეზთაგანი იყო ციებ-ცხელებიანი, ხაშმიანი მიდამო შავი ზღვის კიდეებისა, სადაც განსვენებული ნინოშვილი იძულებული იყო ეცხოვრაო. პირად ბაასიდან მნახველი დარწმუნდებოდაო, რომ თვითეული სიტყვა ნინოშვილისა იყო დინჯი. მოფიქრებული, ღმობიერიის სრულებით არა ჰგავდა იმ კაცს, რომელიც სხვა წრეებში მტრებსა ჰხედავს, არამედ ჯეროვანის გულდასმით და პატივისცემით ეპყრობოდა მოწინააღმდეგე რწმენის ხალხსაც. თვით მისი რწმენა იყო წმინდა და ანკარა. რაში გამოიხატება უმთავრესი მნიშვნელობა ნინოშვილისა: იგი ახლოს იდგა ხალხთან, რომლის სულისა და გულის მადლიანი გამომხატველი იყო მისი უტყუარი შემოქმედებითი ნიჭი. კითხულობთ მაგ. „პალესტომის ტბას" და ჰხედავთ, რომ პირველ სტრიქონიდან უკანასკნელამდე ჰფეთქს ღმობიერი, მდაბიო მოძმის ჭირ-ვარამით გამსჭვალული, გული თვით ნინოშვილისა. დიდად საყურადღებოა მთელი შინაარსი ამ მოთხრობისა, რომელშიაც გამოყვანილია, თუ მშრომელი ტიპი როგორ იღუპება ზღვის ტალღებში მხოლოდ იმისათვის, რომ შრომითა და ვაი-ვაგლახით შეძენილი, რამდენიმე ძელი ჩაეტანა ფოთში გასასყიდად. აშკარად ჰხედავთ ნინოშვილის მიზანს, რომელსაც უნდა გვამცნოს ჩვენ, ქალაქებში განცხრომით მცხოვრებთ, რომ თვითეული ძელი, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ არის ნაყოფი გლეხიკაცის დიდის ჭაპან-წყვეტისა.

აიღეთ მეორე მოთხრობა „განკარგულება": მშიერ-მწყურვალს და მთელის დღის მძიმე შრომით მოქანცულ გლეხს გააგდებენ, რომ ღამეც იფხიზლოს და უდარაჯოს რკინის გზას, რომელზედაც უნდა გაიაროს მატარებლით ვიღაც ბობოლამ. ამ პატარა მოთხრობაშიაც დიდი აზრია ჩამარხული. ბურჟუაზიულ წრიდან გამოსული მწერალი, უმრავლეს შემთხვევაში, არის მხოლოდ მოტრფიალე მშვენიერებისა: დაძონძილი, ლუკმა-პურის მათხოვარა, ლამაზად დახატული და ლამაზ ჩარჩოში ჩასმული, რომელ ნახატითაც დაუმშვენებია ერთ-ერთი კედელი თავის ოთახისა, იმას ღრმად ვერ უგრძნია და ვერ გამსჭვალულა სხვის უბედურობით. მაგრამ ნინოშვილის ხალხის ჭირ-ვარამით დაავადებული და მფეთქავი გული, მკითხველს აფიქრებს. იგი არც სხვა წრის წარმომადგენელთადმი არის ბოროტებით გამსჭვალული, რასაც მკითხველი დაინახავს იმის მოთხრობებიდან: „ჩვენი ქვეყნის რაინდი", „სვიმონა", „ქრისტინე" და სხვა. ის მხოლოდ სწუხს კაცთა განწყობილების უკუღმართ ურთიერთობაზე.

მიმაჩნია ნინოშვილი მსოფლიო მწერლადაო,—სთქვა ლექტორმა,—რადგანაც, რომელ ერის ენაზედაც უნდა გადასთარგმნოთ იმის ნაწერები, ყველგან ერთნაირ უბედურება-

დასასრულს ლექტორმა დასკვნა: ინდოელი ფილოსოფოსი თვალს მოავლებს ღრუბელს და მიჰმართავს: „ნუ იბრუნებ პირს და შენ მოავლინე შენი შუქი ნეტარებისა და გრილი ნიავი ჩვენს მოტრუსულს ქვეყანას; ნუ მოაკლებ მას, რაც შენს სულსა და გულში მარხიაო". როგორც მადლიანი ღრუბელი მოავლენს ხოლმე გამაცოცხლებელს ჟუჟუნა წვიმას გვალვისგან მოტრუსულ მიდამოს, ისე ეგნატე ნინოშვილის გულიდანაც მიმოიფრქვევა უდიდესი სხივი, რომელიც გვინათებს მომავალ ცხოვრებასაო.

დილის მეორე და მესამე განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა პირებმა: მოსკოვის კონსისტორიის ყოფილმა ადიუნკტ-პროფესორმა **ბ. ვილშაუმ.** უნოტებოთ როიალზე შეასრულა რთული მუსიკალური ნაწარმოები მენდელსონისა და ჩაიკოვსკისა. ქ-მა **რონელმა**—პირეცკაიამ, რომელსაც ჩვენი საზოგადოება იცნობს, როგორც ერთ საუკეთესო ამსრულებელთაგანს ზეინაბის როლისას,—ჯერ ხელოვნურად წაიკითხა მელოდეკლომაცია და შემდეგ სასიამოვნოდ იმღერა ქართულად და რუსულად. საზოგადოებას მოეწონა და რამდენჯერმე გამოიხმო მგოსანი **გ. ქუჩიშვილი,** რომელმაც გრძნობით წაიკითხა თვისი რამდენიმე აზრიანი ლექსი.

ბ. კ. ანდრონიმ და მჭედლიშვილმა წაიკითხეს თვისი ლექსები.

მსახიობმა ქალმა ქ. ო. ლეჟავამ ჯეროვანის ხელოვნებით წაიკითხა მ. გორკის „სიმღერა შავარდენზე".

წაიკითხა ლექსები აგრეთვე ი. გრიშაშვილმაც...

**გ. ა—ციხელი.**

რისხის სიკეთე დაამტკიცებინა, რუსეთში, ბაქოში მოიპოვა თანაგრძნობა, მაგრამ ისე მოკვდა, რომ ვერ მოახერხა ფულის შოვნა, რადგან არა სურდა გაყიდვა ექსპლუატაციის უფლებისა უცხოელების ხელში.

მისი მემკვიდრე იეზაშვილიც იმ გზას დაადგა, რომ ეს სიმდიდრე და საქმე ისევ ქართველების ხელში ყოფილიყო და თუმცა უცხოელები, ფრანგები, გერმანელები და სხ. კარგ ფულს აძლევენ, არა სურს უფლების გაყიდვა, რომ ჩვენი განძით უცხონი არ გამდიდრდნენ ისევე, როგორც ყველა სხვა ჩვენი სიმდიდრით სარგებლობენ და სუქდებიან.

ამავე იესაშვილს გამოუგონია საშუალება ფხვიერი კიშელგურის განმტკიცება - გამაგრებისა იმდენად, რომ თავისუფლად შეიძლება მომზადება ბევრი სასარგებლო და ძვირფასი ნივთისა. სხვათა შორის მუდმივი საშრობისა (Bavar), რომელიც იმდენად მშვენიერია როგორც გარეგნულად, ისე თვისებებითაც, რომ ერთ მოსკოველ ფირმას ეხლავე დაუკვეთნია 1000 ცალი. საზოგადოთაც ბევრი მოთხოვნა და შეკვეთა მოსდის იეზაშვილს და საშუალება კი არა აქვს დააკმაყოფილოს, თუმცა სამინისტროსაგან პატენტიც კი აქვს მიღებული ამ გამოგონებაზე.

იეზაშვილს აზრადა აქვს ამხანაგობის დაარსება ქართველ მოღვაწეთა, ვაჭართა და შეძლებულთაგან, მაგრამ ქართველი საზოგადოება გულცივად შეხვდა, როცა იმავე დროს ყველა მხრიდგან ბელგიელები, ფრანგები, სომხის კაპიტალისტებიც კი გაფაციცებით თვალს ადევნებენ, 10—15 ათას თუმნობით აძლევენ უფლება მოგვყიდეო. იეზაშვილი ამბობს: მე ქართველ საზოგადოებას მივმართე, ჩემი ვალი მოვიხადე და რაკი ასე გულ გრილად მოეკიდნენ საქმეს—მეტი გზა არ არის უნდა გავყიდოვო. რამდენიმე კაცმა ძლივს გამოვსთხოვეთ, რომ პრესის საშუალებით მივვემართნა საზოგადოებისათვის და ისიც დაგვეთანხმა, თუმცა მასაც და მის თანამოაზრეთაც გული გასტეხიათ.

ნუ თუ ქართველმა საზოგადოებამ იმდენი უნარი ვერ უნდა გამოიჩინოს, რომ დაწესებულებებმა, ამხანაგობათ თუ კერძო პირთ გამოიღონ სულ 2—8 ათასი თუმანი სააქციონერო ამხანაგობის დაარსებისათვის და საშვილი-შვილოდ სირცხვილად და თავში საცემად არ დარჩეს, რომ ამისთანა საქმე ხელიდან წაუვიდა. გარდა იმისა, რომ ეს საქმე ჩვენთვის, როგორც ქართველთათვის საინტერესო და მომგებიანია, პირადი ინტერესიც ამხანაგობისა დიდად დაჯილდოვებული იქნება აქციების შესაფერი სარგებლით.

ვისაც კი საქართველოს ეკონომიური გაძლიერება აინტერესებს, ვისაც გული შესტკივა ჩვენ გალატაკებულ ხალხისათვის, ყველანი უნდა შეერთდეს, რომ ამისთანა საქმეებს უშოვოთ ფულიც, კრედიტიც, მცოდნენიც და სინიდისიერი მუშაკნიც. გარდა მოგებისა, ამ საქმეს ის კარგი მხარეცა აქვს, რომ დახარჯულ ფულს უკან აბრუნებს რამდენიმე წელიწადში და სულ უკიდურეს მდგომარეობაში, თუ ამხანაგობამ ვერ ისარგებლა და ვერ აწარმოვა, იმას ხელთა რჩება უფლების გაყიდვა, რაც ზედმეტად აუნაზღაურებს ფულის შემტანთ—დანახარჯსა.

ყველას, ვისაც სურს უფრო დაწვრილებით გაეცნოს როგორც კიშელგურის ნიმუშებს, მის თვისებათ, ან ამ საქმეს, ვსთხოვთ რედაქციის საშუალებით მიმართონ საადგილმამულო კომისიას. **რ. გაბაშვილი.**

## წერილი თელავიდან

წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის მასწავლებელთა მეთაურობით 22 აპრილს აქაურ საკრებულოს დარბაზში გაიმართება ქართულ-რუსული წარმოდგენა ამავე სასწავლებლის უღარიბეს მოსწავლეთა სასარგებლოდ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მიმდინარე წლიდამ, სასწავლებლის პროგიმნაზიად გადაკეთების გამო, სწავლის ფასიც მოუმატეს, რის გამოც შეუძლებელ მშობლებს უარესად გაუძნელდათ სწავლის ფულის შეტანა და დახმარებასაც მეტად ჰსაჭიროობენ, მასწავლებელთა მეცადინეობა ამ საქმეში სასიამოვნო აღსანიშნავია და საზოგადოებაც თანაგრძნობით უნდა მოეკიდოს ამ წარმოდგენას.

სიტყვამ მოიტანა და არც გაზეთში ალგვინიშნავს, რომ ამ სასწავლებლის და ვაჟთა პროგიმნაზიის მოსწავლეთა მშობლებმა განიძრახეს მშობელთა წრის დაარსება, რის შესახებაც უკვე მიჰმართეს წმ. ნინოს სასწავლებლის გამგეობას. როგორც გადმოგვცეს, ეს თხოვნა შეწყნარებულ არ იქნება, რადგანაც სასწავლებელში, სამოსწავლო საბჭოს გარდა, არსებობს წმ. ნინოს ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოების თელ. განყ. გამგეობა, რომელიც ასრულებს მშობელთა წრის ფუნქციებს.

რაც შეეხება ვაჟთა პროგიმნაზიას, აქ სხვაა და საჭირო იყო ასეთი წრის დაარსება, მაგრამ რადგანაც იგი ინახება თავ.-აზნ. და ქალაქის ხარჯით, ნებართვაც ორთავეს უნდა ეთხოვა. მშობელთა თათბირზე ქალაქის მხრიდამ არავინ გამოცხადდა და ეს საქმეც ისევ ისე დარჩა.

10 აპრილამდე ისეთი მშვენიერი გაზაფხულის დღეები იყო რომ, ყველამ გამოიზაფხულა. მოსწავლეთ პატარა ექსკურსიებიც-კი დაიწყეს, სამოქალაქო სასწავლებლის უფროს კლასების მოსწავლენი ს. წინანდალში იყვნენ საუფლისწულო მამულის და სარდაფის დასათვალიერებლად, მხოლოდ წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის უფროსი მოსწავლენი—შუამთის მონასტერში.

15 აპრილს საკრებულო ტაძარში ამ ეკლესიის კრებულის მეთაურობით პანაშვიდი იქმნა გადახდილი პოეტის ვახტანგ ორბელიანის სულის მოსახსენებლად. სიტყვა წარმოსთქვა მღ. დიმ. დეკანოზიშვილმა. პანაშვიდი წინა კვირას უნდა გარდაეხადათ, მაგრამ საზოგადოება არ დაესწრო და ამ დღისთვის გადადეს. საზოგადოება ამ დღესაც ნაკლებად დაესწრო.

ერთხელ და ერთხელ წესად უნდა დაიდოს, რომ ასეთ შემთხვევაში ორისამი დღის წინედ პატარა განცხადებანი გამოაკრონ ხოლმე (წ. კ. წიგნის მაღაზიაში და სხვ.) რათა საზოგადოებამ დროზე გაიგოს. სხვა არა იყოს რა, შემდეგ ველარავის უსაყვედურებენ—არ ვიცოდითო.

**დავიწყებული.**

## მოწერილი ამბები

**ქ. ნუხი.** (განჯის გუბ.) ეს ქალაქი ერთად ერთი ცენტრია ვაჭრობამრეწველობისა მთელს გუბერნიაში. მარტო სააბრეშუმო ქარხნები—სამოცამდეა. ამ ქარხნებს პირდაპირ მოსკოვთანა აქვთ კავშირი—ვაჭრობისა. მცხოვრებთა რიცხვი 30 ათასამდეა. თითქმის სულ თათრობა. ქართველები მხოლოდ მოხელეებად თუ არიან მოსულნი: გამომძიებლად, მომრიგებელ-შუამავლად, ფოსტის უფროსად, მასწავლებლად, მოძღვრად, თორემ სხვას ვერ ჰპოვებთ. მიუხედავად ამისა მაინც ეს პატარა წრე ქართველებისა ისე მიღებული ჰყავთ აქაურ მკვიდრ თათრებს, რომ როგორც იტყვიან „თვალში რომ ჩაუარდეთ ხელს არ მოისვამენო" და ბევრ დახმარებასაც აღმოუჩენდნენ ქართველებს, თუ ვინმე მოუწოდებდა მათ დასახმარებლად.

მახსოვს, ამ რავდენისამე წლის წინად სტუდენტ მ. ა. თაოსნობით გაიმართა ჩვენის ერთ კულტურულ საზოგადოების სასარგებლოდ წარმოდგენა და თეატრში ტევა არ იყო, იმდენი თათრობა მოაწყდა. შემოსავალიც კარგი დარჩა. მას შემდეგ ამ პატარა ქართველ წრის მაჯის ცემა საზოგადო საქმისადმი შესწყდა.

ამ თვის 9-ში გვეწვია ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ბ-ნი მუსრელიუსი ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის სარევიზიოდ. რევიზიამ ორს დღეს გასტანა. საქმის კარგა დაყენებისათვის დიდი მადლობა გადუხადა კანტორის უფროსს ბ-ნ ალ. ს. მაჭარაშვილს. როგორც გუბერნატორიდან მოსულ ქაღალდიდან სჩანს მას აძლევენ მომრიგებელ შუამავლობას. **აქაური.**

**საჭამია სერი.** ზემოხეთ. საზ. ოზ. მაზ.) ოთხი-ხუთი წლის წინად დაწყებული ქვის შენობა სკოლისა—გადაიხურა. სკოლა ეკუთვნის სასულიერო მთავრობას. ამ ჟამად სწავლა სწარმოებს ფიცრულის შენობებში. სკოლა არის ორკლასიანი საქალებო და სავაჟო. მთავრობა დაპირებულია ასაშენებლად ფულის (ნაწილის) მოცემას. ფული მოგვეცემოდა, როდესაც ანგარიშს წარუდგენდით. ანგარიშის (სმეტა) შედგენას საჭირდებოდა მცოდნე პირი, იმ საქმისა. ხალხს ფული გაუღია ერთი წლის წინად, მაგრამ ჯერ საქმე არ გაკეთებულა.

ოცდა ექვს თებერვალს ბ. ს. ხუნდაძის მეცადინეობით მოვიდა ტფილისიდან ბ. გ. თოიძე, რომელმაც შეადგინა ანგარიში. ამის შემდეგ მოხდა საამშენებლო კომისიის კრება და განცვიფრებაში მოვიდა, როცა გაიგო შემდეგი: ტფილისში არსებობს ამხანაგობა, (სადაც შედის თვითონ მ. გ. თოიძე) რომლის მიზანია დაეხმაროს საზოგადოებებს, როგორც ასეთ ისე სხვა და სხვა საინჟენერო საქმეებში უსასყიდლოდ, მხოლოდ გზის ხარჯი უნდა მიეცესო. კომისიას მიუცია — ხარჯად ოცი მანეთი; მაგრამ ნაცვლად ოცი მანეთისა თერთმეტი მან. აუღია, დანარჩენი კი იმავ საზოგადოებისთვის დაუბრუნებია. ხალხმა მადლობა გამოუცხადა ბ. გ. თოიძეს და იმ დაწესებულებასაც, რომლის წევრიც ყოფილა იგი. აქ არსებობს სამკითხველო, რომლის კრება მოხდა 15 მარტს. სამკითხველოს აქვს: ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთები და რუსული „კავკაზ". სამასამდე წიგნი რუსულ-ქართული, წიგნები შემოწირულია სხვა და სხვა პირთაგან. შემოწირულია აგრეთვე ქართულ-რუსული ბეჭდები, და სურათები გამზადებული (ჩარჩოებით): ი. ჭავჭავაძისა, აკაკისა, ყაზბეგისა, გ. წერეთლისა ნ. ბარათაშვილისა და აგრეთვე წიგნებიც სილოვან ხუნდაძისაგან. კრებამ მადლობით მოიხსენია ს. ხუნდაძე და გამოსთქვა სურვილი, რომ სილოვანის სურათი იქნეს შეძენილი სამკითხველოსთვის. და აგრეთვე მადლობას უძღვნიან შემომწირველთ.

სამკითხველოს ჰყავს ორმოცი წევრი. ნაღდი ფული აქვს სამკითხველოს სამოც მანეთამდე. სამკითხველოს მოვლა იკისრეს უფასოდ აქაურმა მოვაჭრეებმა კ. ძნელაძემ და ვ. გუბელიძემ. მადლობის ღირსია ქ. გან. ქ. შ. წ. კ. გ. ს. იმისთვის, რომ გამოგვიწერა უმეტესი ნაწილი ჟურნალ გაზეთებისა. **უჩინარი.**

**ბეჟათ-უბანი** (შორაპნის მაზრა). იანვარ-თებერვალს თავისი მრისხანე სუსხი აპრილისთვის შეუნახავს. აქეთ 10—19 აპრილს გადაუღებელი თოვლ-ჭყაპი იყო. ხვნა-თესვა შეფერხებულია. ხეხილი მოსპობილად ჩაითვლება, ვინაიდან კვირტი გამოსულ-აყვავებული დაჰხვდა. ვაზი შეიძლება ზოგან არ გაფუჭდეს, რადგან ჯერ კვირტი კარგად არა აქვს გამოსული. თუ ასე გასტანა ეს წელიც, შარშანდელივით შიმშილობას მოგვიტანს. **ქართველ-იმერელი.**

## ლენის მუშათა დახოცვის გამო.

**ტულჩინსკის დეპეშა.**

ინჟინერი ტულჩინსკი ლენის ამბების ერთი უმთავრესი გმირთაგანია. იმასა ჰქონდა ჩამარებული მოლაპარაკება მუშებთან და თითონვე სროლაში მონაწილ. შინაგან საქმეთა მინისტრმაც კი საზოგადოების ნდობით აღჭურვილ პირად გამოაცხადა ზემოხსენებული ინჟენერი. აი სწორედ ეს ტულჩინსკი, როგორც „რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი გადმოგვცემს, ამოწმებს, სროლას არავითარი საჭიროება არ მოითხოვდაო. „სროლა უაზრობა იყო,—სწერს ტულჩინსკი, რადგანაც ბრბო შეიარაღებული არ იყო. ხოცვა-ჟლეტის შემდეგ არც კეტები და არც აგურები არ აღმოჩნდა სროლის ადგილას. ტულჩინსკიმ ერთს წინანდელ დეპეშაში იხმარა სიტყვა „შეიარაღებულნი" მხოლოდ იმიტომ, რომ როტმისტრმა ტრეშჩენკომა დაჟინებით მოითხოვა ამ სიტყვის ჩამატება. პირველ სროლისთანავე მუშები დაწვნენ. დაწვა ტულჩინსკიც. როდესაც ცოტა-ხანს სროლა შესწყვიტეს, ტულჩინსკი წამოდგა და დაიყვირა, რომ სროლა მოისპოთ. ბრბოს არც „ურა" უძახია და არც იერიშით მისულა ჯარზე.

**გაფიცვები და მიტინგები.**

პეტერბურგში ბალტიის გემის აღმაშენებელ ქარხნის მუშებმა გამართეს მიტინგი. დაესწრო ასი ათასი კაცი. მიტინგმა ერთხმად დაადგინა, გამოეცხადოს პროტესტი ლენის ამბების გამო და ეს პროტესტი სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას გაეგზავნოს.

ერთის დღით გაფიცნენ ლანგუსა და ფულზერის ქარხნების მუშები.

## ჩინეთის რესპუბლიკა

**დეპეშები.**

**ურგა.** აქ ჩამოვიდა თავად უდაის ძმა და შუაგულ მონგოლეთიდან წარმომადგენელი. მათ ხუტუხუტას წარუდგინეს ოფიციალური განცხადება, რომ მზად არიან ხალხს შეუერთდნენ. მონგოლეთის მთავრობამ გადასწყვიტა საადმინისტრაციო მოხელეთა შემადგენლობა განაახლოს და შუაგულ მონგოლებით შეავსოს.

## ოსმალეთ-იტალიის ომი

**დეპეშები**

**სტამბოლი.** აზიის ზღვის კიდურებიდან და აიდინის ვილაიეტიდან იუწყებიან, რომ იქ გაუვლია იტალიის დიდ ჯავშნოსნებს.

დიდი შეიქი სენუსი დერნს მოვიდა.

**სტამბოლი.** 18 აპრილს დარდანელში, ღამე მოდარაჯე ორთქლმავალი გემი 12 მეომრით, ადგილების ზვერის დროს ჩაწყობილ ნაღმებს წააწყდა და დაიღუპა. გადარჩა ერთი კაცი.

სმირნიდან იუწყებიან: „ტეხასი" ნაღმს კი არ წასწყდომია, ნაპირიდან გაფრთხილების შემდეგ ზარბაზანი ესროლეს და იმან დაღუპაო. ადგილობრივი მთავრობა აცხადებს, მართალია „ტეხასს" ესროლეს, მაგრამ არ მოურტყამთ და გემი ნაღმს წააწყდაო. დარდანელში ჩაწყობილ ნაღმების ამოკრეფას სამ დღეს მოუნდებიან. პორტა უფლებას იტოვებს, რომ თუ რამე განსაცდელი გაჩნდება, დარდანელი ხელახლა შეჰკრას.

**ბერლინი.** გენდელსტაგმა დეპეშით აცნობა პეტერბურგის საბირჟო კომიტეტს, რომ 25—30 აპრილს იგი აპირებს მოლაპარაკების დაწყებას დარდანელის შეკვრის გამო.

**რომი.** „კორიერ-დ იტალიას" ტრიპოლიდან აუწყებენ, რომ ოსმალებმა ტუნისის საზღვრით მიიღეს გერმანიაში დამზადებული ჰაეროპლანიო.

**სმირნა.** აქაური გემი სრუტეში ნაღმს წააწყდა და დაიძირა. დაღუპულა 140 კაცი.

**დონის-როსტოვი.** აქაურმა საბირჟო საზოგადოებამ დარდანელის გზის შეკვრის გამო მიყენებულ ზარალის გამოსაკვლევად კომისია აირჩია.

**ბერლინი.** გერმანელთა ვაჭრები სთხოვდნენ მთავრობას, დარდანელის გზა გაახსნევინე ოსმალეთსაო. მთავრობას უპასუხნია, დარდანელი ოსმალეთისაა და ნეიტრალიტეტს ვერ დავარღვევთ, ვერაფერს ვაიძულებთ ოსმალეთსაო.

## არეულობა სპარსეთში

**თავრიზი.** როგორც ხმა დადის ოსმალები დიდ აგიტაციას ეწევიან ისმაილ-აღა-შევკას და კატურას ქურდთა უფროსის სიმკოს წინააღმდეგ, რომელიც სპარსეთის მთავრობის ერთგულია და ოსმალებს კოტუარას მიდამოებში მიწა-წყალის დაჭერაში ხელს უშლის. ცნობა მოვიდა, რომ სიმკო თავრიზში დაიბარესო.

**ურმია.** რუსეთის კონსულმა ადგილობრივ გუბერნატორის საშუალებით უშნუს მყოფ ოსმალეთის კაიმაკამას გაუგზავნა სპარსელი ჟანდარმი და შეუთვალა: ქურთისტანიდან ურმიაში ხორბლეულის შემოტანის ნება მიეცით, რათა დამშეულთ დავეხმაროთო.

**თეირანი.** პრინცმა-რეგენტმა გამოსცა მოწოდება კაბინეტის მიმართ. იგი სთხოვს მეჯლისის არჩევნები დააჩქარეთო. რეგენტი იმედოვნებს, საარჩევნო სამზადისი უკვე დაიწყება, სანამ ევროპაში გავემგზავრებიო.

დემოკრატიულ პარტიის მთავარი ხელმძღვანელი ჰუსეინ-ყული-ხანნავაში, სწრაფად საზღვარ-გარედ გაიქცა, რადგანაც დაპატიმრებას უპირებდნენ.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ.**

20 აპრილი.

**ბოსტონი.** მასსაჩუზეტში ტაფტმა და რუზველტმა თანასწორი ხმა მიიღეს.

**მადრიდი.** პარლამენტის სესია დაიწყო. 1913 წლ. ხარჯთ-აღრიცხვა შეიტანეს. შემოსავალი ნავარაუდევია 1,167,400,000, გასავალი — 1,146,900,00 პეზეტი (პეზეტი 38 კ. უდრის).

**ლონდონი.** 6000 მკერვალი ქალი და კაცი გაიფიცა.

**ბრიუსელი.** პირველ მაისს ქარხნებში მცირე რიცხვი მუშაობდა. უწესოება არ მომხდარა.

**ვაშინგტონი.** ტაფტმა აცნობა სენატს: მთავრობას არავითარი ცნობა არა აქვს, ვითომც მექსიკაში იაპონიას რაიმე მიწა-წყალი დაეჭიროს.

სენატორმა მორისმა განაცხადა: „ტიტანიკის“ დალუპვის საქმე ინგლისმა უნდა გამოიძიოს და არა ამერიკის მთავრობამაო.

**ბერლინი.** იმპერატორმა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში ორი ფერმა შეიძინა, სადაც წმინდა ბეწვიან ცხვარს მოაშენებს.

საბიუჯეტო კომისიაში სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა: მეოცე კორპუს პრუსიის აღმოსავლეთის საზღვრებზე ჩავამწკრივებთ ვისლამდეო.

უარჰყვეს სოციალისტების წინადადება, რომელიც მოითხოვდა კავალერიასა და არტილერიაში ორი წლის სამსახურის დაწესებას, ხოლო ქვეითა ჯარისათვის ერთის წლისას.

**ბელგრადი.** სკუპშინის სესია დაიწყო. თავმჯდომარედ პაშიჩს ასახელებენ.

**სოფია.** ლიბერალთა პარტიის ბელადს გენადიევს, „ვოლი“-ს რედაქტორს ხოდევსა და მაკედონიის ორგანიზაციათა წარმომადგენელს მატოვს ეგვიპტიდან მოჰსვლიათ ამანათი წიგნებით. ნამდვილად კი შიგ ჯოჯოხეთის მანქანები აღმოჩენილა. მანქანები არ გასკდა. რადგანაც ხმა იყო დავარდნილი ახალგაზდა ოსმალების მუქარაზე, გენადიევს ეჭვის თვალით შეუხედავს ამანათისათვის და მაშინვე სხვებისათვისაც უცნობებია, ვისაც კი რაიმე საფრთხე მოელოდა. ახალგაზდა ოსმალებს ჰსურდათ მოესპოთ მაკედონიის გამანთავისუფლებელთა მეთაურნი.

**კორფუ.** იმპერატორმა ვილჰელმმა სადარბაზოდ მიიღო ვენიზელსონი.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაცია. კონსერვატორთა ბელადმა თ-დმა შვარენბერგმა თანაგრძნობით აღნიშნა რუსეთ-ავსტრიის დამოკიდებულება. საზონოვის სიტყვა მაჩვენებელია, რომ რუსეთსა და იტალიის შორის მეგობრული თანხმობა სუფევს ბალკანეთის თაობაზე. შვარცენბერგს ჰსურს იმედი იქონიოს, რომ იტალიასა და რუსეთის დაახლოვებამ სამთაკავშირი განამტკიცოს. რაც შეეხება ავსტრო-უნგრეთისა და რუსეთის დამოკიდებულებას ბალკანეთის პოლიტიკის გამო, საჭიროა, რომ ავსტრო-უნგრეთი ცოტა თავშეკავებით იქცეოდეს, ორივ სახელმწიფო უნდა სცდილობდეს რომ ერთმანეთთან დაახლოვება მესამე სახელმწიფოს დაუხმარებლად მოახერხონ.

კრამარჟმა სასტიკად გაჰკიცხა ხორვატელთა პოლიტიკა.

დელეგაციამ მიიღო დროებითი ხარჯთ-აღრიცვა. დესუმ უკანვე წაიღო თავისი წინადადება, რომლითაც ურჩევდა უნდობლობა გამოვუცხადოთ სამხედრო მინისტრსაო.

## რ უ ს ე თ ი

**კიევი.** განსვენებულმა პროფესორმა რუსტიცკიმ ქალაქს უანდერძა კარმიდამო და 50 ათასი მანათი ფულად, რათა ქალაქმა იქ დაარსოს მიგდებულ ბავშვთათვის თავ-შესაფარი.

**პეტერბურგი.** სათათბიროს საბიუჯეტო კომისიამ ერთხმად დაადგინა 50 ათასი მანათი გადაიდოს ჩრდილოეთ პოლიუსის ექსპედიისათვის.

სათათბიროში შეიტანეს კანონ-პროექტი, რომელიც მოითხოვს, სპარსეთის საზღვრიდან კასპიის გაღმა მხარეს გადმოსვლის გასაადვილებლად მოკლე ვადიანი მოწმობანი იძლეოდეს.

**პეტერბურგი.** სახელმწიფოს დამცველ კომისიაში სამხედრო მინისტრმა განაცხადა: ტყუილია ვითომც რუსეთში უცხო სახელმწიფოთა მიერ მოწყობილი პოლიტიკური ჯაშუშობა ვრცელდებოდესო.

სახელმწიფო სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკი გამოსცემს 50 მილიონის $4^1/_2$ პროცენტიან მომგებიან ფურცლებს ულატარიოდ.

**პეტერბურგი.** მომავალ დეკემბერს მოსკოვში გაიმართება საერთაშორისო კონგრესი სულით ავადმყოფთა თავშესაფარისა.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ მოიწონა სავაჭრო სამინისტროს წინადადება, რომ 1915 წ. პეტერბურგში მოიწვიონ მეცხრე საერთაშორისო კონგრესი გამოსაყენებელ ხიმიისა.

**პეტერბურგი.** ლივადიაში გაემგზავრა გარეშე საქმეთა მინისტრი მახლობელ აღმოსავლეთის განყოფილების უფროსის ნელიდოვისა და კანცელარიის დირექტორის ბარონ შილინგის თანხლებით.

მინისტრთა საბჭომ განიხილა სათათბიროს 33 დეპუტატის მიერ წარდგენილი საკანონმდებლო მოსაზრება, რომლითაც საოსტატო სემინარიების მასწავლებელთა უფლებანი უნდა გაუთანასწორონ საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლების უფლებას. მინისტრთა საბჭომ საჭიროდ სცნო, რომ ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს საამისო კანონ-პროექტი სულ სხვა საფუძველზე დამყარებული.

**ლვოვი.** ქალაქის გამგეობამ პროტესტი განაცხადა უკრაინელთა უნივერსიტეტის დაარსების გამო.

**პეტერბურგი.** მთელ დღეს გაფიცული იყო პეტერბურგის 29 ქარხანა და სამრეწველო, მუშაობდა მხოლოდ 5,924 კაცი. ქუჩებში დემონსტრაციები არ მომხდარა. გუშინ და დღეს გაფიცულთ, მუშაობა განაახლეს.

## ფ რ ე ნ ა

**რიგა.** მფრინავი ქალი გალანჩიკოვისა ჩამოვარდა და მსუბუქად დაშავდა.

**იალტა.** სინოდის ობერ-პროკურორი პეტერბურგს გაემგზავრა.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** კვირას, 22 აპრილს, მსახიობი გ. არადელ-იშხნელი გამართავს წარმოდგენას ტ. აბაშიძისა და ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით. წარმოდგენილ იქნება ცნობილი ტრაგედია შექსპირისა „ჰამლეტი“, თარგმანი ივ. მაჩაბლისა. უმთავრესი როლები საუკეთესო მსახიობთა შორის არის განაწილებული.

**საარტისტო საზოგადოების დარბაზში** 2 აპრილს დანიშნულია **კონცერტი** მომღერალ ქალის ე. ი. ბაშარინისა.

---

**ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“ სახალხო სახლში.** ოთხშაბათს, 18 აპრილს, დავესწარით ამ პიესის წარმოდგენას სახალხო სახლში და თამამად შეგვიძლია ვსთქვათ: რაც ეს პიესა პირველად, ამ ორი წლის წინად, ბ. ვ. შალიკაშვილმა დადგა, მის შემდეგ კიდევ ბევრჯერ დავსწრებივარ დიდ თეატრში, მაგრამ ასე ხელოვნურად და გემოვნებით დადგმული აღარ გვინახავს. უმთავრესი სიძნელე ამ პიესის წარმოდგენის დროს მასსიურ სცენების გადმოცემაში გამოიხატება და 18 აპრილს, იმის და მიუხედავად, რომ მასსიურ სცენებში სცენის მოყვარულნი და შემთხვევით მოწვეულნი პირნი იღებდნენ მონაწილეობას, ეს სცენები იმდენად ბუნებრივი იყო, რომ მაყურებელს სრული ილიუზია ეძლეოდა სოფლის ყრილობისა. ამაში კვლავ გამოიხატა ცნობილი უნარი და საქმის სიყვარული რეჟისორის ბ. ალ. წუწუნავასი. ბუნებრივი და სასიამოვნო სანახავი იყო აგრეთვე პიესის დასაწყისში გარიჟრაჟი სოფლად, მხოლოდ „ძაღლების ყეფით“ აჭარბებდნენ. ბ. წუწუნავას, ამ ხანად, სხვა თავისებურობაც შეეტანა: მაგ. საქო ნამძინარევი და უკვე ჩაცმული დუქნიდან კი არ გამოვიდა, არამედ იმას იქვე დუქნის წინ აივანში ეძინა, გათენებისას ადგა, ჩაიცვა და იქვე პირი დაიბანა ბიჭის დახმარებით. დუქნის გვერდითვე დაედგათ მისი მახლობელი დაწესებულება—სოფლის სამმართველო. დუქნიდანვე იწყებოდა ორ-ღობე და თვით სოფელი ცოტათი მოშორებით მოსჩანდა. ბ. წუწუნავას, როგორც რეჟისორის, თავისებურობის გამომსახველი ყველა წვრილმანის გადმოცემა შორს წაგვიყვანს, ვიტყვით მხოლოდ რომ ამ სალამოს პიესის გამარჯვებაში, ავტორთან ერთად, თანამოზიარე იყო რეჟისორიც.

პიესაში მონაწილეთა შორის მოხუც გაბუას ჯერ უბადლო ამსრულებელი მსახიობი ბ. გამყრელიძე იმდენად ცნობილია, რომ იმაზედ რამის თქმა ზედმეტია. ნ. გოცირიძემ საქოს როლში უფრო ზედმიწევნით დაგვისურათა სოფლის წურბელა, ვაჭარი-მოვახშე, ვიდრე ეს განგვიცდია ცნობილ მსახიობ ბ. ვ. აბაშიძის ასრულებით. ბ. გოცირიძეს თან და თან მეტი წინსვლა ეტყობა და ის ერთი სინიდისიერი და დამამშვენებელი ძალაა (განსაკუთრებით კომიკურ როლებში) სცენის მოყვარეთა შორის. ორს საპასუხსაგებო როლს—გოგიასი და ვანოსი ასრულებდნენ,—პირველს—ბ. კ. ხახანაშვილი და მეორეს - გ. ჯაბაური, მაგრამ ორივენი მოისუსტებდნენ, განსაკუთრებით პირველი, რომელმაც ვერ შესძლო გადმოცემა ჯერ ორპირული მოქმედება და შემდეგ რთული სულიერი ქენჯნა გიგოასი. ბ. ხახანაშვილს სხვა დროს უფრო მეტი უნარი გამოუჩენია, ამ სალამოს კი უგემურად, უხალისოდ ასრულებდა როლს. ბ. ჯაბაური მკაფიოდ ვერ ლაპარაკობდა, ზოგჯერ სიტყვებსაც ჰყლაპავდა და ამიტომ იმის როლიდან ბევრი საგულისხმიერო ადგილი მსმენელთათვის გაუგებარი დარჩა. მოგვეწონა ახალგაზრდა სცენის მოყვარე მ. ჭიაურელი, რომელმაც დაახლოვებით გადმოგვცა მიხას გულწრფელობა და ადამიანობა. კნ. სონის როლში სცენაზე პირველად ვნახეთ ახალგაზრდა სცენის მოყვარე ქ. ელენე ლი. თამამი თავის დაჭერა, სასცენო გარეგნობა და კარგი გამოთქმა საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მომავალში იგი სასარგებლო სცენის მოყვარე შეიქმნება. აღსანიშნავია, რომ ცოცხალმა სცენამ სუფრაზე, მეორე მოქმედებაში, დუნედ ჩაიარა და ამაში უმთავრესი ბრალი თამადის ამსრულებელს ედება, რომელიც ვერ ეტეოდა ავტორის მიერ წარმართებულ რეპლიკების საზღვრებში და თავისი, ხშირად უადგილო ჩამატებებით, აწითლებდა პარტერში მყოფ ავტორს. ნატოს როლი პირნათლად შეასრულა მსახიობმა ქალმა ქ. ქიქოძემ. სულ ცოტა ხანში ამ ქალს გვარიანი წინსვლა ეტყობა. თავ-თავის ადგილს იყვნენ: მეტრეველი (ბოქაული) ს. რომანიშვილი-დგებუაძისა (კნ. ბარბარე) და შ. ბეჟანიშვილისა (მარიამი). დანარჩენ მონაწილეთაგან ბევრი მოისუსტებდა, მაგრამ საერთო ანსამბლი არ დარღვეულა და დამაფიქრებელი მთლიანი შთაბეჭდილება დასტოვა პიესამ. თეატრი სავსე იყო მაყურებლებით.

**გ. ა—ლი.**

---

**ქუთაისის ქართველ მსახიობთა ამხანაგობამ ქ. ბათუმში** გამართა სამი წარმოდგენა „სიმახინჯე“—შიუკაშვილისა, „ძორევში“ ჰანტურიშვილისა და სალამო-მეჯლისი. სამივე წარმოდგენაზე ხალხი ბლომად დაესწრო. შემოსავალი უდრიდა 985 მ. და 65 კ. დასმა გაიგო რა რომ ეხლა ბათუმის ქართული სკოლა განიცდის დიდს კრიზის ნივთიერად, დაადგინა შესწიროს 300 მანეთი, რომელიც გადაეცა სასწავლებლის გამგეს.

საერთოდ ღრმა დ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა დასმა. ავაციებს და ალტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. დასი წავიდა **ოზურგეთში.**

**კავკავი.** კვირას, 15 აპრილს, ადგილობრივმა სცენის მოყვარეთა წრემ, მასწავლებელ ბ. ილია რუხაძის თაოსნობით ქართულ სკოლის სათეატრო დარბაზში წარმოადგინა **ი. გედევანიშვილის** „გამცემი“.

კარგა ხანია ასე ლამაზად დადგმული პიესა არ გვინახავს. განსაკუთრებით მოხდენილად იყო დადგმული მეორე მოქ. მეორე სურათი. ხელმძღვანელს, როგორც სჩანს ძალღონე არ დაუზოგნია, რომ დრამა გარეგნულადაც კარგად მოეწყო, და მართლაც, ყოველივე თავ-თავის ალაგას იყო. რაც შეეხება თამაშს, სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ წარმოდგენამ არა ჩვეულებრივი ანსამბლით ჩაიარა. გასაკუთრებით კარგი იყო საქრო ჩვილიშვილის როლში ბ. რუხაძე. მან ისე ნათლად გადმოგვცა საქროს სულიერი ტანჯვა, იმდენად ბუნებრივი იყო ამ დღეს ბ. რუხაძის თამაში, რომ ერთს წამს კიდეაც დამავიწყდა, რო რუხაძე ჩვეულებრივი სცენის მოყვარეა. დამსწრე საზოგადოებამ ბ. რუხაძეს მხურვალე ტაშის ცემით უძღვნა მადლობა.

მშვენიერი იყო ქ-ნი ლ. ბარათაშვილი მარიკოს როლში. შეჰქმნა სოფლის დედაკაცის ერთგვარი ტიპი და თავისი მოხდენილი თამაშით ხელი შეუწყო ბ. რუხაძეს შაქაროს განპიროვნებაში. დანარჩენთ: ქ. ჩიტაძე (დარია) ქ. იოსელიანი (ნინა) ქ. ფურცელაძე (ელენე) ბ. კაკაბაძე (არჩილი) ბ. სარაჯევი (სიკო) ჩხუბიანი (ლევანი) რაზმაძე (მიხაკო) არა უშავდათ რა. „გამცემს“ საზოგადოების თხოვნით მომავალ კვირას განიმეორებენ.

**შემთხვევით დამსწრე.**

**ლანჩხუთი.** 15 აპრილს სამკითხველოს სასარგებლოდ მ. ი. ქყონიას, ი. ბარამიძის, თ. სიხარულიძის გამგეობით და მსახიობ ჯაყელის და ხურციძის მონაწილეობით გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენილ იქმნა „ლეკის ქალი გულჯავარ“ ისტორიული პიესა 3 მოქმ. ა. ცაგარლისა, და ერთ მოქმედებიანი კომედია „კუდიანი ვარსკვლავი“, ბილანჩივაძისა. ამ სალამოს მოკლედ გააცნო **ვ. კალანდაძემ** დამსწრე საზოგადოებას თეატრის მნიშვნელობა.

კარგი იყო გულჯავარის როლში ქ. ც. ქყონია, ეს მანდილოსანი ბევრჯერ გვინახავს სცენაზე, მაგრამ დრამაში კი ძლიერ ნაკლებად. ქ. ქყონიამ სავსებით დაგვიხატა გულჯავარის სულის კვეთება. კარგი იყო აგრეთვე (ფატმანის) როლში ქ. ს. ანთაძე, მისი მოხდენილი თამაში ხიბლავს საზოგადოებას. კარგი იყო (ირაკლის) როლში ა. ტუსკია, ტანადობაც ხელს უწყობდა და ხმაც. ძლიერ დაკვირვებით ითამაშა (ლევანის) როლი ალ. ჯაყელმა, ნიჭიერად შესრულა ლევანის როლი. კარგი იყო (რამაზი) როლში ს. ხურციძე. კარგი იყო აგრეთვე პ. ჩხაიძე (რევაზის) როლში, მერე კი ზურაბის. პ. ჩხაიძემ ორივე კარგად შეასრულა.

ბოლოს ითამაშეს (კუდიანი ვარსკვლავი) კარგები იყვნენ აგრეთვე ქ. ც. ქყონია. (მაროს) როლში ს. ანთაძე (სოფიოს) როლში ბ. ა. ჯაყელი (ანდრიას) როლში. ხურციძე (ვანოს) როლში. პ. ჩხაიძე(სტეფან სტეფანიჩის) როლში და კ, ებრალიძე (გადამწერის) როლში. ყველამ საუცხოვოდ ჩაატარეს თავიანთი როლები და დამსწრე საზოგადოებაც ბევრი აცინეს. ბოლოს ბ-ნმა ხურციძემ წაიკითხა გურულ-მეგრული სცენები, რითაც დაუსრულებელი სიცილი გამოიწვია საზოგადოებაში. ღამის 3 საათზე მეტად ნასიამოვნები საზოგადოება სახლში წავიდა. შემოსავალი 102 მანეთი იყო, რომელიც უნდა მოხმარდეს ბიბლიოთეკის შენობის აგებას.

**ვალიკო.**

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტო! ნება გვიბოძეთ, თქვენ პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ, იმ პირთ, რომელთაც თავიანთ ნაწერების შეწირვით, გაამდიდრეს ჩვენი ბიბლიოთეკა-სამკითხველო: პროფესორ ივ. ჯავახიშვილს, რომელმაც შემოსწირა: 1) ქართველი ერის ისტორია, 2) საქართველოს ეკონომიური ისტორია, 3) მამულიშვილობა და მეცნიერება, 4) Государственный Строй Древней Грузіи и Древней Арменіи, 5) Народныя перписи въ Грузіи და სხვ.

ეკატერინე გაბაშვილს თავის თხზულებათა კრებულის გამოგზავნისთვის და სვიმონ ქვარიანს თავის წიგნაკ „ქართველ ერის ტრადიციისთვის“.

**ჟენევის ქართულ ეროვნული წრის გამგეობა.**

P. S. ეროვნული წრე ჩვეულებისამებრ დიდის მადლობით იღებს ყოველნაირ დახმარებას, როგორც წიგნებით ისე ნივთიერად შემდეგ მისამართით: Geneve Suisse Rue Maurice Chuf № 7. Bibliotheque georgienne.

---

უმორჩილესად გთხოვთ დაბეჭდოთ ეს ანგარიში.

ამ წლის 14 ს მარტს დ. ხონში ა. შოთაძის, ი. ზარდალიშვილის, ა. მურუსიძის, ი. გრიშაშვილის და ადგილობრივი ძალების მონაწილეობით გაიმართა წარმოდგენა, რომლიდანაც წმინდა შემოსავალი დარჩა 65 მანეთი და 3 კაპ. ეს ფული გარდაეცა ხონის სამოქალაქო სასწავლებლის გამგეობას ამავე სკოლის ღარიბ შეგირდთა დასახმარებლად, რისთვისაც გულწრფელ მადლობას ვუძღვნით ზემო აღნიშნულ პირთ და აგრეთვე ადგილობრივ ქველმოქმედთ, რომელთაც თავის მხურვალე მონაწილეობით, შემოწირულობით, თუ სალამოზედ დასწრებით ამ კეთილ საქმეს ხელი შეუწყეს.

სამოქალაქო სკოლის გამგე **ს. მამალაძე.**

---

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქ ის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები
1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

## გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

**რუსეთის საზოგადოებისა.**

**ბათომიდან გადის:** ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორე—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ნოვოროსიისკით, ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლით და ევპატორიით, შაბათობით, შუადღეს.

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

**სახალხო-საქონლის** გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუადღეს.

# განცხადებანი


## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

„606“—11—12 ს. შეხაპუნება კონსულტატიურად.

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი 1—2 ს. საზებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.**

(წ. 1074.61)

---

**სუსუნატის წინააღმდეგ ახალი წ ა მ ა ლ ი**

**„SALO—პიჩილინი“**

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად სააფთიაქო საწყობებში. Метцль 23672.

(წ. 1161.6)

---

**ყოველ-დღე მოგვდის:**

**ახალ-ახალი** ხიზილალა (ქიტკა) 2 მ. 40 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძმველოვები.**

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**
**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**

(წ.—1131—43)

---

## სატეხნიკო საქმეები:

გეგმები, ხარჯთ-აღრიცხვები, (პროექტები და სმეტები სადაც საჭიროა დამტკიცებით) ყოველ-გვარ შენობების აგება, გადაკეთება, სასმელ წყლების და სარწყავების გაყვანა, გამოანგარიშება სამუშაოებისა.

ადგილების გეგმის აღება, დამიჯვნა, დაყოფა, დაზომვა. შედგენა საქმის ქაღალდებისა, მამულების დაზღვევა დ დაგირავება. კანტორა ღიაა 8 ს. 8ს.-მდე. **ვერის დაღმართი, № 7** ტელეფ. № 691. (4.370.7) **წერილობით**—Технику Ніорадзе.

---

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება შემდეგი წიგნები:**

| წიგნი | მ. | კ. |
|---|---|---|
| ვეფხის ტყაოსანი, საუკეთესო გამოცემა, . . . | 10— | 65 |
| თამარიანი, გუგუნავასი. . . | | 50 |
| ყაზბეგის სრული თხზულ. . | 3— | 50 |
| გაბაშვილი ე. თხზულებ. . | 1— | 20 |
| ნინოშვილის თხზულებანი . | 1— | 50 |
| რჩეული პედაგ. და პუბლიც. ნაწერები ი. გოგებაშვილისა | 1— | „ |
| რანი ვიყავით გუშინ? მისივე. | | 20 |
| საარაკო თავგად. ტახტის მემკვიდრისა, მისივე. . . . | | 10 |
| ცხოვრება გიორგი ხანძთელისა, გიორგი მერჩულისა . | 3— | „ |
| ძველი საქართველო, ტ. I, საისტორიო საზ. გამოც. . | 3— | 50 |
| საქართ. სიძველენი ტ. II, მისივე | 3— | 50 |
| „ „ ტ. III, „ | 3— | 50 |
| რძოლა... ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, ან. ფურც. | 1— | „ |
| ქართ. ცხოვრ. მარ. დედ. ვარ. | 4— | „ |
| ქართვ. ერის ისტორია. ივ. ჯავ. | | 80 |
| საქ. ეკონომ. ისტორია, მისივე | | 40 |
| ქართვ. მეფე და მისი უფლებ. ისტორია მისივე . . . . | | 15 |
| Иверскій монастырь на Аѳонѣ въ Турціи. Натроева . . | 1— | „ |
| Культурная роль Иверіи въ исторіи Руси Еп. Киріона. . | 3— | „ |

**ახლად მიღებული წიგნები:**

| წიგნი | მ. | კ. |
|---|---|---|
| ეტიუდები მე-XIX საუკ. ქართ. ლიტერატ. შესახ. კ. აბაშიძე | | 70 |
| ექსპერიმენტ. პედაგოგიკ., უზნაძ. | | 75 |
| გამცემი, 3 მ. დრ. გედევანიშვ. | | 25 |
| დალი, 3 მ. დრ., გლახაშვილისა | | 20 |
| დრამ. და კომედ. I, „სორ.“ გამ. | 1— | „ |
| სურათები: აკაკისა . . . . | | 50 |
| „ ფერადი . | | 40 |
| ილიასი . . . . . . . | | 50 |
| თამარ დედოფლისა . . . | 1 | 50 |
| ე. გაბაშვილისა . . . . | | 35 |
| წმ. ნინოსი (ჯვრის მიღება), ზიჩ. | | 15 |
| „ (ანგელოზ. მოჩვენება) ზიჩ. | | 15 |
| „ (მაცხოვრის მოჩვენ.) „ | | 15 |

ადრესი: Тифл. О-во распростр. грамотн. сред груз. насел. (წ. 1141.30)


ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.